ნინო ბადაშვილი
Nino Badashvili

ბერძნები საქართველოში

GREEKS IN GEORGIA

საქართველოს ეროვნული არქივი

National Archives of Georgia


ΠΡΟΞΕΝΕΙΟΝ ΤΗΣ ΕΛΛΑΔΟΣ ΕΝ ΒΑΤΥΜ
ΚΟΙΝΟΤΗΣ ΠΟΤΙΟΥ ΕΛΛΗΝΙΚΗ

ნინო ბადაშვილი
Nino Badashvili

ბერძნები საქართველოში

GREEKS IN GEORGIA

(XIX საუკუნის II ნახევარი - XX საუკუნის დასაწყისი)

(THE SECOND HALF OF THE 19th CENTURY - THE BEGINNING OF THE 20th CENTURY)

კვლევის პროცესში მხარდაჭერისათვის მადლობას მოვახსენებთ ირმა გეთიას, ინგა ელიავას, მერაბ კეზევაძეს, ნათია მირიანაშვილს, რუსუდან მიქელაძეს, ქეთევან სადაგიშვილს, ღუარსაბ ტოგონიძეს, თამთა შონვაძეს, დუდა ხითარიშვილს.
განსაკუთრებული მადლობა ჰომეროს ავღერინოსის შთამომავალს – იანის ავღერინოსს.

We would like to thank – Irma Getia, Inga Eliava, Merab Kezevadze, Natia Mirianashvili, Rusudan Mikeladze, Ketevan Sadagishvili, Luarsab Togonidze, Tamta Shonvadze, Duda Khitarishvili – for their support in the research process.
Special thanks to the grandson of Homer Avgherinos – John Avgherinos.

წინა ყდა (შუაში): ფოთის ელინთა საზოგადოების ბეჭედი.
წინა და უკანა ყდა (ქვედა ნაწილი): ფრაგმენტი ბერძნული ლიტურგიკული შინაარსის ხელნაწერიდან სანოტო ნიშნებით.

Front cover (in the middle): The seal of the Hellenic Community of Poti.
Front and back covers (below): A fragment from Greek liturgical manuscript with Neumatic notation.

ქართული ტექსტის რედაქტორები:
მედეა აბულაშვილი, ესმა მანია.
თარგმანი ფრანგული ენიდან: თეა ხარჩილავა.
თარგმანი ინგლისურ ენაზე: ირინე არნაუტი.
ინგლისური ტექსტის რედაქტორი:
ირმა ხოსიტაშვილი.
დიზაინი და დაკაბადონება: ნატა ყუბანეიშვილი.

Editors of Georgian text:
Medea Abulashvili, Esma Mania.
Translator from French: Tea Kharchilava.
Translator into English: Irine Arnaut.
Editor of English text: Irma Khositashvili.
Designer: Nata Kubaneishvili.

საქართველოს ეროვნული არქივი.
© ყველა უფლება დაცულია.

The National Archives of Georgia.
© All rights reserved.

პირველი გამოცემა, 2023
თბილისი

First edition, 2023
Tbilisi

ISBN 978-9941-8-6149-9

საქართველოს ეროვნული არქივი
National Archives of Georgia

იუსტიციის სამინისტრო

ბერძნები საქართველოში მეფის რუსეთის დროს
GREEKS IN GEORGIA DURING THE IMPERIAL RUSSIA

მსოფლიო ცივილიზაციების ისტორიაში ქართველებისა და ბერძნების გზები უხსოვარი დროიდან არაერთგზის გადაიკვეთა. მათ შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი კულტურული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობები გარკვეული თავისებურებით გამოირჩეოდა და საერთო ღირებულებებსა თუ აღმსარებლობაზე იყო დაფუძნებული.

მრავალფეროვანია ეროვნულ არქივში დაცული ბერძნებთან დაკავშირებული მასალა: ბერძნულენოვანი ისტორიული საბუთები, საგალობლები, რუკები, შენობა-ნაგებობათა პროექტები და გეგმები, დოკუმენტები ბერძნული სასწავლებლების, ტაძრების, ბერძენი სასულიერო პირების, ოსტატების, ვაჭრების შესახებ და ა. შ.

XIX-XX საუკუნეებში საბერძნეთის ტერიტორიასა თუ პონტოს სანაპიროებზე განფენილი დევნილად ქცეული ბერძნების ნაკადის ნაწილი საქართველოსაც მოაწყდა. დოკუმენტური წყაროები ადასტურებს, რომ უკიდურესი სიდუხჭირის მიუხედავად, დევნილმა ბერძნებმა მოახერხეს საქართველოში საკუთარი სოციალური პირობების გაუმჯობესება, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობების აწყობა, საკუთარი დიასპორის გამაგრება, სკოლების გახსნა, პერიოდული გამოცემების დაარსება, ეკლესიების აგება და ა. შ.

ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ბერძნების მიგრაციას, სოციალურ-პოლიტიკურთან ერთად, რელიგიური ფაქტორიც განაპირობებდა, რაც XIX საუკუნეში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა. ეთნიკურ თუ სარწმუნოებრივ ნიადაგზე დევნილი ყველაზე მეტი ბერძენი საქართველოში რუსეთ-ოსმალეთის ომებით გამოწვეული სირთულეების გამო ჩამოვიდა. სამშობლოდან დევნილი ბერძნების დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის საზღვრებს მოადგა. შესაბამისად, XIX-XX

In the history of world civilizations, the paths of Georgians and Greeks have repeatedly crossed since time immemorial. Centuries-old and diverse cultural, political, and economic relations between them were characterized by certain features and based on common values and beliefs.

The National Archives holds a wide range of materials related to the Greeks: historical documents in Greek, hymns, maps, building projects and plans, documents on Greek schools, temples, Greek priesthood, artisans, traders, etc.

In the 19th-20th centuries, part of the large flow of Greeks who became refugees spread along the territory of Greece and the shores of Pontus and settled in Georgia.According to the documentary sources, despite extreme deprivation, the displaced Greeks managed to improve their social situation in Georgia, establish relations with the local population, strengthen their diaspora, open schools, establish periodicals, build churches, etc.

The migration of Greeks living in the Ottoman Empire was determined by socio-political and religious factors, which became especially noticeable in the 19th century. A substantial number of Greeks, facing persecution due to their ethnic identity and religious convictions, sought refuge in Georgia, primarily prompted by the challenges arising from the Russo-Turkish wars. The majority of displaced Greeks arrived at the borders of the Russian Empire. Consequently, archival materials from the 19th to 20th centuries provide abundant information about their migration patterns, conditions, and interests.

Archival documents testify to the crossing of the border of the Russian Empire by thousands of ethnic Greek refugees. Some refugees established permanent settlements in various regions of Georgia, while others made temporary stops before continuing their journey to other countries. The processes of repatriation of the Greeks were a continuation of this problem.

Since the middle of the 19th century, consulates of the Kingdom of Greece began to open in various cities

ბერძნები
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან
[1890-1900]

Greeks
Photo from the collection of Dmitri Ermakov
[1890-1900]

საუკუნეების საარქივო მასალა მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის მათი მოძრაობის, მდგომარეობის, ინტერესების შესახებ.

საარქივო დოკუმენტები ათასობით ლტოლვილი ეთნიკური ბერძენის მიერ რუსეთის იმპერიის საზღვრის გადმოკვეთაზე მიუთითებს. ლტოლვილთა ნაწილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სახლდება, ნაწილი დროებით შემოდის, რათა მცირე სულის მოთქმის შემდეგ, სხვა ქვეყნებში განაგრძოს გზა. ნაწილობრივ ამ პრობლემის გაგრძელებაა ბერძენთა სამშობლოში დაბრუნების პროცესებიც.

XIX საუკუნის შუა წლებიდან რუსეთის იმპერიისა და, მათ შორის, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში საბერძნეთის სამეფოს საკონსულოების გახსნა დაიწყო. კონსულების დანიშვნას საბერძნეთის მხარე უთანხმებდა სამხედრო გუბერნატორს - კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს.

საკონსულოებისა და კონსულების დატვირთვამ თანდათან იმატა. 1851 წელს საბერძნეთის სამეფომ აკრძალა უცხოეთიდან ნებისმიერი პირის შესვლა ქვეყანაში საკონსულოების შესაბამისი ნებართვების გარეშე (სეა სცა 4.8.235).

საქართველოში საკონსულოები ზღვისპირა ქალაქებში, ფოთსა და ბათუმში, მოგვიანებით კი - თბილისში გაიხსნა. 1891 წელს, ფოთში ვიცეკონსულად საბერძნეთის სამეფოს ქვეშევრდომი ივან ლიკარისი ინიშნება. თუმცა, ფოთში მისი მოღვაწეობის საკითხი ბუნდოვანია, რადგან ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის უწყებით, ამ პიროვნების კვალი მალე ქრება და ვერავითარი ინფორმაციის მოძიება ვერ ხერხდება. ნებისმიერ შემთხვევაში, იმჟამინდელ ფოთში საბერძნეთის საკონსულოს არსებობა უტყუარ ფაქტად რჩება (სეა სცა 12.14.23).

1900 წლის 19 თებერვალს საკონსულო გაიხსნა თბილისშიც. კონსულად კი, თბილისში მცხოვრები ბერძენი ვაჭარი ოტონ პუპოსი დაინიშნა, თუმცა, 20 თებერვალს, თანამდებობაზე დანიშვნიდან მეორე დღეს, პუპოსი მოულოდნელად გარდაიცვალა (სეა სცა 12.14.148). ეს პიროვნება მანამდეც რამდენჯერმე გვხვდება დოკუმენტებში: 1886 წელს ის ბათუმის ელინთა საზოგადოებას ქალაქის ბერძნული სასწავლებლის მზრუნველად აურჩევია. აღნიშნული სასწავლებელი ბათუმში 1868 წლიდან ფუნქციონირებდა და ბერძნული გიმნაზიების დაბალკლასიან სასწავლებელს შეესაბამებოდა. აქედან გამომდინარე, სასწავლებლის კომიტეტს მისი ხუთწლიან შერეულ საქალაქო

საბუთი საბერძნეთში გამგზავრების მსურველთათვის საკონსულოებში პასპორტების დამოწმების აუცილებლობის შესახებ
1851 წლის 15 მარტი.
(სეა სცა 1.8.235)

Document highlighting the requirement for passport certification at consulates for individuals intending to travel to Greece
March 15, 1851.
(NAG CHA 1.8.235)

შეტყობინება ფოთში საბერძნეთის ვიცეკონსულად საბერძნეთის ქვეშევრდომ ივან ლიკარისის დანიშვნის შესახებ
1891 წლის 7 იანვარი.
(სეა სცა 12.14.23)

Notice of appointment of Greek citizen Ivan Likaris as the Greek Vice Consul to Poti
January 7, 1891.
(NAG CHA 12.14.23)

ბერძენი ქალი
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის
კოლექციიდან
[1890-1900]

Greek woman
Photo from the collection of
Dmitri Ermakov
[1890-1900]

ბერძენი სასულიერო პირი, რომელიც განაგებდა ბერძნების კუთვნილ საეკლესიო მამულებს იმერეთში
XIX საუკუნის II ნახევარი

A Greek priest overseeing church estates owned by the Greek community in Imereti
The second half of the 19th century

თბილისის გუბერნატორის წერილი კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს თბილისში საბერძნეთის საკონსულოს გახსნისა და კონსულად ოტონ პუპოსის დანიშვნის შესახებ
1901 წლის 18 თებერვალი, თბილისი.
(სეა სცა 12.14.148)

Letter from the Governor of Tbilisi to the head of the Civil Department in the Caucasus regarding the opening of a consulate in Tbilisi and the appointment of Otton Pupos as consul
February 18, 1901, Tbilisi.
(NAG CHA 12.14.148)



ქუთაისის სამხედრო ვიცეგუბერნატორის წერილი კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს ფოთში საბერძნეთის ვიცეკონსულად ნიკოლაოს ავღერინოსის დანიშვნის შესახებ
1900 წლის 9 სექტემბერი, ქუთაისი.
(სეა სცა 12.13.733)

Letter of the Military Vice-Governor of Kutaisi to the Governor of the Civil Unit in the Caucasus on the appointment of Nikolaos Avgherinos as Vice Consul of Poti
September 9, 1900, Kutaisi.
(NAG CHA 12.13.733)

of the Russian Empire, including Georgia. The Greek side agreed on the appointment of consuls with the military governor - the main ruler of the civilian part of the Caucasus.

The burden on consulates and consuls increased gradually. In 1851, the Kingdom of Greece banned entry to any person from abroad without proper permission from consulates (NAG CHA 4.8.235).

In Georgia, consulates were opened in the coastal cities of Poti and Batumi, and later in Tbilisi. In 1891, Ivan Likaris, a subordinated of the Greek kingdom, was appointed Vice-Consul in Poti. However, uncertainties surround the nature of his activities in Poti, according to the military governor of Kutaisi, the traces of this person soon disappear, and it is not possible to find any information connected to him. In any case, the existence of the Greek consulate in Poti at the moment remains an indisputable fact (NAG CHA 12.14.23).

On February 19, 1900, the consulate was opened in Tbilisi. Oton Pupos, a Greek merchant who lived in Tbilisi, was appointed as a consul, but on February 20, the day after his appointment, Pupos unexpectedly passed away (NAG CHA 12.14.148). This person appears several times in the documents: in 1886, he was selected by the Greek community of Batumi as the trustee of the city's Greek school. The mentioned school in Batumi has been operating since 1868, corresponding to the lower school of Greek gymnasiums. So the school committee wanted to convert it into a five-year mixed-city (mixed public school for both girls and boys) public school. On August 20, 1886, the petition of the chairman of the committee and other members to the director of public schools was signed by Oton Pupos as well (NAG CHA 422.1.2845).

Until 1900, the vice-consul of Greece in Poti was Geliopoulos (date of his appointment is unknown), and in 1900 Nikolaos Avgherinos was appointed instead of him. According to a letter from the ambassador for Greek affairs in St. Petersburg, it is documented that in 1904, Giorgos Saros would be appointed as the Greek consul in Batumi (NAG CHA 12.13.733 / 12.13.738).

In 1908, the functions of the consul of the Hellenic kingdom in Batumi were performed by A. Monferratos (NAG CHA 15.1.103). After Monferratos, according to the order of November 25, 1908, George Antoniadis began to perform the duties of consul of the Greek kingdom in Batumi. Later, as it turned out, the Greek consulate in Batumi was abolished on February 1, 1910. However, before departing for Athens and being appointed an honorary agent of the consulate, Antoniadis temporarily delegated the consulate's administration to Manuilidis, a resident of Batumi (NAG CHA 13.28.53).

საზოგადოებრივ სასწავლებლად გადაკეთების სურვილი ჰქონია. 1886 წლის 20 აგვისტოს, კომიტეტის თავმჯდომარისა და სხვა წევრთა მოთხოვნას სახალხო სასწავლებლების დირექტორისადმი ოტონ პუპოსიც აწერდა ხელს (სეა სცა 422.1.2845).

1900 წლამდე, ფოთში საბერძნეთის ვიცეკონსული ღელიოპულოსი (სახელი და დანიშვნის თარიღი უცნობია) იყო, ხოლო 1900 წელს, მის ნაცვლად, ნიკოლაოს ავღერინოსი დაინიშნა. სანქტ-პეტერბურგში მყოფი საბერძნეთის საქმეთა დესპანის წერილის საფუძველზე ცნობილი ხდება, რომ 1904 წელს ბათუმში საბერძნეთის კონსულად გიორგოს საროსი დაუნიშნავთ (სეა სცა 12.13.733; 12.13.738).

ბათუმი
ფოტო დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან
[1890-1900]

Batumi
Photo from the collection of Dmitri Ermakov
[1890-1900]

1908 წელს ბათუმში ელინთა სამეფოს კონსულის მოვალეობას ა. მონტფერატოსი ასრულებდა (სეა სცა 15.1.103). მონტფერატოსის შემდეგ კი, 1908 წლის 25 ნოემბრის ბრძანების თანახმად, ბათუმში საბერძნეთის სამეფოს კონსულის მოვალეობის შესრულებას გიორგი ანტონიადისი შეუდგა. მოგვიანებით, როგორც ირკვევა, 1910 წლის 1 თებერვალს ბათუმში საბერძნეთის საკონსულო გაუქმდა, თუმცა, ათენში გამგზავრებამდე და საკონსულოს საპატიო აგენტის დანიშვნამდე, ანტონიადისმა საკონსულოს საქმეების მართვა დროებით ბათუმში მცხოვრებ მანუილიდისს გადააბარა (სეა სცა 13.28.53).

Число семействъ	Число мужеска и женска пола душъ	Сколько отъ роду лѣтъ: мужескъ	Сколько отъ роду лѣтъ: женскъ	Число рогатого скота
1.	Буцу Симионовъ	40	—	—
	жена Марфа	—	30	—
	сыновья { павелъ	25	—	—
	сыновья { филиппъ	10	—	—
	дочь ефимія	—	6	—
	у сына павла жена тодора	—	20	—
	у нихъ дочь мегалъ	—	2	—
	рогатого скота			4
2	Бретъ Костановъ	50.		
	жена его Сонна	—	40	
	сынъ алмешитъ	10	—	
	рогатого скота	—		4
3.	Ананиъ павловъ	30.	—	
	жена его Марфа	—	25.	—
	сыновья { михаило	5.		
	сыновья { лимда	3		
	сыновья { авзо	12		
	дочь тирвана		15.	
	Мать хозяина марфа		50	
	дочь ея анастасія		15	
	рогатого скота			7.
4.	Иоаннъ Кирекое	40.		
	жена его пигрена		35	
	сыновья { Костанъ	15.		
	сыновья { испиръ	10		
	сыновья { Есфрактъ	6		
	дочери { Сонна	—	8	
	дочери { Марфа	—	2	
	рогатого скота			4.

Число семействъ	Число мужески и женски пола душъ	Сколько отъ роду лѣтъ: мужескъ	Сколько отъ роду лѣтъ: женскъ	Число рогатого скота
5.	Алексій Петровъ	35	—	
	жена его Магдалина		22	
	дочь Софья		1	
	Мать хозяина аусенья		50	
	рогатого скота		—	2
6.	Даниилъ Антоновъ	30.		
	жена его Софья		20	
	братъ Михаило антоновъ	8	—	
	Сестры { евдокія		12	
	Сестры { Серезія		6	
7.	Петръ Сагаковъ	35.	—	
	Жена его Марфа	—	25.	
	Мать нананъ		60.	
	рогатого скота	—	—	8
8.	Сако Сиковъ	30		
	жена его Маргаритъ		24.	
	сыновья { татосъ	15		
	сыновья { хачо	6.		
	рогатого скота	—		4.
9.	Минасъ Агановъ	40		
	жена его Оски	—	30	
	сынъ Мато	6.	—	
	дочь Ена	—	8	
	рогатого скота	—	—	4.
10	Григоръ Чуфовъ	30		
	сынъ Василій	10		
	дочь Серезія	—	12	
11.	Степанъ Мирзовъ	50		
	жена его Марфа		40	
	сынъ Лазаръ	26		
	жена Марфа	—	20	
	Холостой сынъ Мелкимира	15.	—	



№ семейств	Число мужеска и женска пола душ	Сколько от роду лет: мужеск	женск	Сколько имеют рогатого скота
1	Михаило Эстатиов	40	—	
	жена его Мецирь	—	30	
	Сыновья: Георгий	12	—	
	димитри	9	—	
	андрей	3	—	
	дочери: Софья	—	8	
	Марья	—	5	
	брат его Василий	32	—	
	у него жена дереги	—	25	
	сыновья: Харалимбий	10	—	
	дириги	8	—	
	Степан	6	—	
	Савва	3	—	
	дочь анидоли	—	2	
	другой брат Иван	28	—	
	жена его Султан	—	26	
	у них сын Статиос	4	—	
	Рогатого скота			20
	Евфрем Кешитиов	50	—	
	жена его Вестина	—	50	
	у них дети			
	Сын Михаил	10	—	
	дочь Марья	—	13	
	братья его томази дочери: Менемне	—	10	
	тирвинде	—	8	
	рогатого скота			3
	Аслан Дадиков	50	—	
	жена его Сормахан	—	45	
	у них дети			
	сын Каралимбий	12	—	
	дочери: дестина	—	10	
	Елена	—	4	
4	Пано Филипов	50	—	
	жена его фростири	—	50	
	дети			
	сын Ираклий	6	—	
	дочь анула	—	4	
	На Медном Заводе			
5	Василий Парискеев	30	—	
	жена его Софья	—	25	
	дети			
	сын Димитри	16	—	
	дочери: Дестина	—	13	
	Эгноси	—	8	
6	Павел Апостолов	40	—	
	жена его Марья	—	35	
	дети			
	сыновья: Юрь	10	—	
	Статиев	5	—	
7	Георгий Янов	35	—	
	жена его Софья	—	30	
	дети			
	сыновья: тодор	10	—	
8	дириги Васильев	25	—	
	мать его Минамие	—	45	
	Племянников: Янни	10	—	
	дириги	8	—	
	рогатого скота			2
	из Семейства Ефрема Кешитиова			
	брат его томаз	45	—	
	у него жена Сазла	—	40	
	дети			
	Сыновья: Савва	30	—	
	жена его Екатерина	—	25	
	Аслан	20	—	
	Мэриц	18		
	Василий			
	Павел			
	Итого душ: мужеска 110			
	рогатого скота			

162

თურქეთიდან ლტოლვილ და სოფელ წინწყაროში ჩასახლებულ ბერძენთა სია
1814 წელი
(სეა სცა 16.1.1658)

List of refugees from Turkey and Greeks who settled in the village of Tsintskaro
1814
(NAG CHA 16.1.1658)

ანჩის სახარება, XII-XIII სს.
გადაწერის ადგილი ტაო-კლარჯეთი, წყაროსთავის მონასტერი.
მომგებელი: სოფრომ მწიგნობარი.
კალმახის ციხის სახარება, 1534 წელი
გადამწერი მთავარდიაკონი რომანოზ მეხეჩისძე. გადაწერის ადგილი ტაო-კლარჯეთი, კალმახის ციხე, წმინდა დიმიტრის ეკლესია. მომგებელი: ფრიდონ ბაზაზაშვილი.

ეს ორი სახარება სხვა სიწმიდეებთან ერთად საქართველოში ჩამოაბრძანეს პონტოელმა ბერძნებმა და ინახავდნენ წაიკაში, საგანგებოდ გამზადებულ კიოტში.

Anchi Gospel 12th-13th centuries
Place of transcription – Tao-Klarjeti, Tskarostavi monastery.
Donator: Soprom Scholar.
The Gospel of the Kalmakhi Fortress, 1534
Scribe: Archdeacon Romanoz Mekhechisdze. Place of transcription: Tao-Klarjeti, Kalmakhi Fortress, Church of St. Demetrius.
Donator: Fridon Bazazashvili.

These two Gospels, along with other relics, were brought to Georgia by the Greeks from Pontus and kept in Tsalka in a container specially prepared for these relics.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროშის ესკიზი
ავტორები: იაკობ ნიკოლაძე, იოსებ შარლემანი
1918 წელი

The sketch of the flag of the Democratic Republic of Georgia
Authors: Iakob Nikoladze, Josif Charlemagne
1918

ბერძნები საქართველოში 1918-1921 წლებში და საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობები საბერძნეთის სამეფოსთან

GREEKS IN GEORGIA IN 1918-1921 AND DIPLOMATIC RELATIONS OF THE REPUBLIC OF GEORGIA WITH THE KINGDOM OF GREECE

სწორედ მანუილიდისია პირველი კონსული, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში საბერძნეთის სამეფოს წარმომადგენლად სახელდება და მისი შტაბბინა თბილისში გადმოდის. ამჯერად, მას საბერძნეთის პრემიერმინისტრი, კარგად ცნობილი ელევთერიოს ვენიზელოსი ნიშნავს კონსულად. ამ ფაქტის შესახებ, 1919 წლის 6 მარტს თავად მანუილიდისი იუწყება ნოე ჟორდანიასადმი მიწერილ წერილში (სეა სცა 1861.2.111). ამ დროისათვის, თბილისის ბერძნული საკონსულოს დროებით მისამართად მითითებულია ქსენიას ქუჩა N12, თუმცა, ჯერ კიდევ 1918 წლის დეკემბრიდან აქტიური მიმოწერა მიმდინარეობს თბილისში ბერძნული საკონსულოსთვის მუდმივი ფართის გამოყოფის თაობაზე. როგორც ჩანს, ამგვარ ფართად ბებუთოვის ქუჩის N26-ში მდებარე პეტრე მარანდოვის სახლი (ზედა სართული) იყო მოაზრებული, მაგრამ საკითხის მოგვარება რამდენიმე თვე გაჭიანურდა. 1919 წლის 6 მარტს საბერძნეთის სამეფოს კონსული მანუილიდისი, მარანდოვის სახლის რეკვიზიციისა და შენობის საბერძნეთის საკონსულოსთვის გადაცემის თხოვნით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილს მიმართავს. საკონსულოს შენობის შემდგომი ბედი არსებულ საბუთებში აღარ ჩანს (სეა სცა 1863.1.263).

ამასობაში, დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბერძნეთის სამეფოს შორის აქტიურ ფაზაში შედის: 1919 წელს საბერძნეთში ჩადის საქართველოს დიპლომატიური მისია, რომელსაც საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდროს დიომიდისი იღებს:

Manuilidis was the first consul named the representative of the Kingdom of Greece in independent Georgia, and his headquarters were moved to Tbilisi. This time, he is appointed consul by the Prime Minister of Greece, the well-known Eleftherios Venizelos. This fact was reported on March 6, 1919, by Manuilidis himself in a letter to Noe Zhordania (NAG CHA 1861.2.111). At that time, the temporary address of the Greek Consulate in Tbilisi is indicated on N12, Ksenia Street. However,

ГРЕЧЕСКОЕ КОРОЛЕВСКОЕ
ВИЦЕ-КОНСУЛЬСТВО

საბერძნეთის სამეფოს კონსულის, მანუილიდისის მიმართვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილისადმი საბერძნეთის სამეფოს საკონსულოსთვის პეტრე მარანდოვის სახლის გადაცემის შესახებ
1919 წლის 6 მარტი.
(სეა სცა 1863. 1.263)

Appeal of the Consul of the Kingdom of Greece Manuilidis to the Minister of Internal Affairs of the Democratic Republic of Georgia Noe Ramishvili about the transfer of the house of Petre Marandov to the Consulate of the Kingdom of Greece
March 6, 1919.
(NAG CHA 1863.1.263)



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილის განკარგულება ბებუთოვის ქუჩაზე მდებარე მარანდოვის ბინის საქართველოს ელინთა ეროვნული საბჭოსთვის გადაცემის შესახებ
1919 წლის 3 თებერვალი.
(სეა სცა 1863.1.263)

Decree of the Minister of Internal Affairs of the Democratic Republic of Georgia Noe Ramishvili on the transfer of Marandov's apartment on Bebutovi Street to the National Hellenic Council of Georgia
February 3, 1919.
(NAG CHA 1863.1.263)

„ეს პატარა სახელმწიფოა - მეტად ძველი და ამავე დროს მეტად ახაღგაზრდა, რადგანაც მისი აღმოცენება ეკუთვნის ჯერ კიდევ პრომეთეს ხანას და მისი აღორძინება ეხლანდელი სახით, ჯერ ორი წელიწადიც არაა რაც მოხდა - და ამ სახელმწიფოს სურს აღადგინოს საბერძნეთთან ძველი ურთიერთობა და იმედი აქვს, რომ აქ თავის საქმისთვის სიმპატიას ჰპოვებს. მისიის მოლაპარაკებამ საგარეო საქმეთა მინისტრთან და ყველა ოფიციალურ და არაოფიციალურ პირებთან ნება მისცეს მას ელიარებინა, რომ ეს სიმპატიები უკვე მოპოვებული აქვს ახაღგაზრდა რესპუბლიკას. ბერძენ ხალხს, რომელიც თავისუფლებისთვის იბრძოდა და მისცა სიგნალი ემანსიპაციისა აღმოსავლეთში, არ შეუძლია ივაჭროს მეგობრობისთვის მათთან, რომლებიც იბრძოდნენ ამავე საქმისთვის. რაც შეეხება კომერციულ ურთიერთობას, ისინი არსებობენ, მხოლოდ საჭიროა, რომ ისინი გამტკიცდეს" - აღნიშნავდა მინისტრი (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წელი, N177).

discussions regarding the allocation of permanent premises for the consulate had been ongoing since December 1918. The residence of Petre Marandov (upper floor), located on Bebutov Street N26, was conceived as such a space, but the solution to the issue was delayed for several months. On March 6, 1919, the consul of the Kingdom of Greece, Manuilidis, appealed to the Minister of Internal Affairs of the Democratic Republic of Georgia, Noe Ramishvili with a request to requisition the house of Marandov and transfer the building to the Greek consulate. The fate of the consulate building is no longer visible in the available documents (NAG CHA 1863.1.263).

Meanwhile, diplomatic relations between the Democratic Republic of Georgia and the Kingdom of Greece are entering an active phase: in 1919, a Georgian diplomatic mission arrived in Greece, which was received by Greek Foreign Minister Alexandros Diomidis:

"This small state is very old and at the same time very young, since its origin dates back to the era of Prometheus, and its revival in its current form is not yet two years old - and this state wants to restore its previous relations with Greece and hopes that they will find sympathy for their affairs. Negotiations of the mission with the Minister of Foreign Affairs and with all officials and unofficial persons made it possible to recognize that these sympathies had already been won by the young republic. The Greek people, having fought for freedom for freedom and paved the way for the struggle for liberation in the East, cannot bargain on friendship with those who fought for the same cause. As for commercial ties, they do exist, they just need to be strengthened." – The minister noted (Newspaper "Republic of Georgia," 1919, N177).

ამავე დროს, 1919 წლის ზაფხულში ათენშიც წარიგზავნა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ალექსანდრე (საშა) მდივანი. ის ათენში, სასტუმრო „Hotel Grand Bretagne"-ში ცხოვრობდა. ალექსანდრე მდივანი საქართველოს მთავრობის წევრებს პერიოდულად წერილებს უგზავნიდა და საბერძნეთში არსებულ ვითარებასა თუ საქართველოს მიმართ სხვა ქვეყნების წარმომადგენლების დამოკიდებულებას აცნობდა:

„ეხღა მოგახსენებთ საინფორმაციოთ შემდეგს: მე აქ ვმუშაობ როგორც მთავრობის წარმომადგენელი, საბერძნეთის მართველი წრეები, ზოგიერთი დეპუტატები და გაზეთები დიდად დავაინტერესეთ და საქართველოს დამოუკიდებლობას მხარს უჭერენ. საქართველოს დამოუკიდებლობა მიაჩნიად საბერძნეთის სასიცოცხლო ინტერესების დაცვად ..." , ათენი. 7.VII.1919. ესაა ამონარიდი აღექსანდრე მდივანის ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც მან პარიზში საზავო კონფერენციაზე მყოფ კარლო ჩხეიძეს გაუგზავნა (სეა სცა 1864.2.122).

ალექსანდრე მდივანი აქტიურად აწარმოებდა მოლაპარაკებებს ინგლისის, ამერიკისა და უკრაინის ათენში მყოფ ელჩებთანაც, რომლებიც კეთილგანწყობილები იყვნენ საქართველოს მიმართ:

„ამთავად მე მინდა მოკლეთ, ვრცლად არ შემიძლია დღეს, სიჩქარით ვსწერ წერილს, გადმოგცეთ ინგლისისა და ამერიკის ელჩებთან ბაასის შინაარსი. ვფიქრობ, თქვენთვის ეს საინტერესოა, ვინაიდგან იძლევა საშუალებას ჩვენი ქვეყნის საკითხი სწორედ დავაყენოთ და გადავჭრათ. ინგლისელებს საერთოდ ამიერკავკასიიდან და კერძოდ საქართველოდან წასვლა არ უნდათ. ეს ნათლად ჩანს ინგლისის ელჩის დაპარაკიდან ... საერთო დასკვნა ჩემი: ინგლისს უნდა ჩვენში იყოს, მაგრამ რა ფორმით და რა სახით, ეს ჯერჯერობით ვერ გამოვარკვიე ინგლისის ელჩთან საუბრის დროს ... ამერიკის ელჩი არ მაღავს თავის სიმპატიას საქართველოსადმი („მე პირველ შემთხვევისთანავე და შეძლებისთანავე საქართველოში წავაღ, დიდად მწყურია საქართველოს ნახვა" - მითხრა მან) (ათენი. 7.VII.1919), ამონარიდი აღექსანდრე მდივანის ერთ-ერთი წერილიდან პარიზში საზავო კონფერენციაზე მყოფ კარლო ჩხეიძესთან (სეა სცა 1864.2.122).

ალექსანდრე დიომიდისი (1875-1950)
პოლიტიკოსი, იურისტი, ეკონომისტი, მწერალი, აკადემიკოსი; სხვადასხვა დროს საბერძნეთის ეროვნული ბანკის დირექტორი, ეკონომიკის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, პრემიერმინისტრი.
ფოტო ინტერნეტიდან:
https://www.sansimera.gr/biographies/2192

Alexander Diomidis (1875-1950)
politician, lawyer, economist, writer, and academic; Director of the National Bank of Greece, Minister of Economy, Acting Minister of Foreign Affairs, prime minister
Photo from the Internet: https://shorturl.asia/We1CK

ალექსანდრე (საშა) მდივანი (1873-1967)
საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი საბერძნეთში; სხვადასხვა დროს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაშურის განყოფილების თავმჯდომარე და საზოგადოების ნამდვილი წევრი, ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი, თსუ-ს უცხო ენათა კათედრის გამგე, თსუ-ს რუსული ენის კათედრის დოცენტი.
ფოტო ინტერნეტიდან:
https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/295821

Alexander (Sasha) Mdivani (1873-1967)
representative of the First Democratic Republic of Georgia in Greece. At various times, he held several notable positions, including being the chairman of the Khashuri branch of the Society for the Spreading of Literacy among Georgians, a full member of the society, director of the Khashuri Men's Gymnasium, head of the Department of Foreign Languages at TSU, and assistant professor at the Department of Russian Language at TSU.
Photo from the Internet:
https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/295821

At the same time, in the summer of 1919, a representative of the Georgian government, Alexander (Sasha) Mdivani, was dispatched to Athens. He lived at the "Hotel Grand Bretagne" in Athens. Alexander periodically sent letters to the members of the Georgian government informing them about the situation in Greece and the attitude of representatives of other countries towards Georgia:

> *"Now I would like to share the following information: I am serving here as a representative of the government, the officialdom of Greece, and some deputies and newspapers have shown great interest and support for the independence of Georgia. Georgia's independence is seen as protecting Greece's vital interests...", (Athens 7.VII.1919). This is a passage from one of Alexander Mdivani's letters, which he sent to Karlo Chkheidze, who was attending a peace conference in Paris (NAG CHA 1864.2.122).*

Alexander Mdivani actively negotiated with the ambassadors of England, America, and Ukraine, who were in Athens and friendly towards Georgia:

> *"Therefore, I want to briefly - I cannot go into details today, I am writing a letter in a hurry - to present to you the content of the conversation with the ambassadors of England and America. I think it's interesting for you because it allows us to raise the question of our country and solve it. The British do not want to leave Transcaucasia in general or Georgia in particular. This is seen in the speech of the English ambassador...*
> *My general conclusion is: that England wants to be among us, but in what type and in what form, I could not find out during the conversation with the English ambassador...*
> *The American ambassador does not hide his sympathy to Georgia ("I will go to Georgia at the first opportunity and as soon as possible, I want to see Georgia", - he told me). (Athens. 7.VII.1919). This is a passage from one of Alexander Mdivani's letters, which he sent to Karlo Chkheidze, who was at a peace conference in Paris (NAG CHA 1864.2.122).*

სასტუმრო „დიდი ბრიტანეთი", ათენი, 1874.
ფოტო ინტერნეტიდან: https://en.m.wikipedia.org/wiki/File:Athens_Hotel_Grande_Bretagne_1874.jpg

Hotel Grande Bretagne, Athens, 1874.
Photo from the Internet: https://en.m.wikipedia.org/wiki/File: Athens_Hotel_Grande_Bretagne_1874.jpg

„ჩემთან იყვნენ უკრაინის დეეგაციის თავმჯდომარე და რამოდენიმე წევრი; ისინი აქ უკვე ხუთი თვე არიან; ორი თვის განმავლობაში საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს არ მიუღია; თავდაპირველად ძრიელ გულგრილად შეხვედრიან და დღეს უფრო კარგი განწყობილება ჩამოუგდიათ საერთოდ ყველასთან. შენ უნდა ინახულო მანდ უკრაინელების მისია. ვერ წარმოიდგენ, როგორ სიყვარულითა და პატივისცემით მე მეპყრობიან, მზად არიან ყოვლისფერი გამიკეთონ ... " (სეა სცა 1864.2.212).

ალექსანდრე მდივანი სწავლობდა ვითარებას და ატყობინებდა მთავრობას, რამდენად უნდა ჰქონოდა სხვა ქვეყნების მხარდაჭერის იმედი საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკას, რას იწერებოდა საბერძნეთის პრესა და რას საუბრობდნენ საქართველოს შესახებ საზოგადოებრივ წრეებში.

ალექსანდრე მდივანი ინტერესდება, საფრანგეთში მყოფი კარლო ჩხეიძე შეხვდა თუ არა საბერძნეთის პრემიერმინისტრ ელევთერიოს ვენიზელოსს. ეს ინფორმაცია მას საბერძნეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის სჭირდებოდა. ნიკოლოზ ჩხეიძესა და პრემიერმინისტრ ვენიზელოსს შორის შეხვედრა ნამდვილად შედგა პარიზში 1920 წელს. ქართული დელეგაციის მეთაურის ანგარიშში მითითებულია, რომ ამ შეხვედრის შედეგად, პრემიერმინისტრმა კმაყოფილება გამოხატა საქართველოში საბერძნეთის მისიის დახვედრის გამო. მან ხაზი გაუსვა საქართველოსა და საბერძნეთს შორის



მრავალსაუკუნოვან მეგობრულ ურთიერთობას და აღნიშნა, რომ საქართველოში ბერძნები თავს კარგად გრძნობენ.

ალექსანდრე მდივანი, იმ ეტაპისათვის, ქართული მისიის მოღვაწეობას საბერძნეთში დასრულებულად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ქართული წარმომადგენლობის დატოვება ათენში დიდ და ზედმეტ ხარჯთან იყო დაკავშირებული.

როდის შეწყვიტა ალექსანდრე მდივანმა საბერძნეთში მოღვაწეობა როგორც საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ზუსტად არ ჩანს, თუმცა, ნოე ჟორდანიას მიერ გაცემული საბუთის მიხედვით, 1921 წლის 29 იანვარს საბერძნეთის სამეფოში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სრულუფლებიან ელჩად აკაკი ჩხენკელი ინიშნება (სეა სცა 1864.2.46).

ელევთერიოს ვენიზელოსი (1864-1936)
სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე,
ქვეყნის პრემიერმინისტრი (1910-1915, 1917-1920, 1928-1932).
ფოტო ინტერნეტიდან: https://shorturl.at/cmAN4

Eleftherios Venizelos (1864-1936)
Greek statesman and politician, Prime Minister
of the country (in 1910-1915, 1917-1920, 1928-1932)
Photo from the Internet: https://shorturl.at/cmAN4



ათენი
XIX საუკუნის მიწურული
ფოტო მოგვაწოდა ლუარსაბ ტოგონიძემ.

Athens
End of the 19th century
The photo was provided by Luarsab Togonidze.

"There were the chairman of the Ukrainian delegation and several members with me; they've been here for five months; the Greek Foreign Minister did not accept them for two months; at first, they met very indifferently, but today their mood has improved with everyone. If you could witness the Ukrainian missions there, you wouldn't believe the love and respect they have for me. They are ready to do everything for me..." (NAG CHA 1864.2.212).

Alexander Mdivani studied the situation and reported to the government what kind of support for the young Republic of Georgia should be expected from other countries, what was written in the Greek press, and what was said about Georgia in public circles.

Alexander Mdivani wonders if Karlo (Nikoloz) Chkheidze, who is in France, had met with Greek Prime Minister Eleftherios Venizelos or not. He needed this information for the Minister of Foreign Affairs of the Kingdom of Greece. The meeting between Nikoloz Chkheidze and Prime Minister Venizelos indeed took place in Paris in 1920. The report of the head of the Georgian delegation indicates that following this meeting, the prime minister expressed satisfaction with the reception of the Greek mission in Georgia. He emphasized the centuries-old friendly relations between Georgia and Greece and noted that the Greeks do well in Georgia.

Alexander Mdivani at this stage, considered the work of the Georgian mission in Greece completed and believed that the staying of the Georgian mission in Athens was associated with large and unnecessary costs.

How long Alexander Mdivani was in the official representation of Georgia in Greece is unclear, however, according to a document issued by Noe Zhordania, on January 29, 1921, Akaki Chkhenkeli was appointed plenipotentiary ambassador of the government of the Democratic Republic of Georgia to the Kingdom of Greece (NAG CHA 1864.2.462).



პარიზში საქართველოს დელეგაციის მეთაურის, ნიკოლოზ ჩხეიძის მოხსენება მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასადმი დელეგაციის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ
1919 წლის 20 სექტემბერი.
(სეა სცა 2115.1.60)

A report from the head of the Georgian delegation in Paris, Nikoloz (Karlo) Chkheidze, to Prime Minister Noe Jordania detailing the accomplishments and work undertaken by the delegation
September 20, 1919.
(NAG CHA 2115.1.60)

კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე (1864-1926)
საქართველოს რესპუბლიკის
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე

Karlo (Nikoloz) Chkheidze (1864-1926)
Chairman of the Constituent Assembly of the
Republic of Georgia

საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი კონსტანტინე საბახტარაშვილი ოფიციალურ წერილს უგზავნის საბერძნეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

„გვსურს რა დავამყაროთ ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობები საბერძნეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის, საქართველოს მთავრობა ავაღებს ბატონ აკაკი ჩხენკელს, დამფუძნებელი კრების წევრს, საქართველოს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, სრულუფლებიან ელჩსა და საგანგებო წარმომადგენელს დაამყაროს კავშირები მისი უდიდებულესობა საბერძნეთის მეფის მთავრობასთან.

ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, მიიღოთ ბატონი ჩხენკელი და გამოუცხადოთ ნდობა ყველა განცხადებაში მისი უდიდებულესობა საბერძნეთის მეფის მთავრობასთან.

ვსარგებლობ შემთხვევით გამოვხატო საქართველოს უდიდესი სიმპათია საბერძნეთის მიმართ და მტკიცე იმედი რომ ჩვენი ქვეყნები დაამყარებენ მდგრად მეგობრულ ურთიერთობებს. 1921 წელი" (სეა სცა 1864.2.462).

აღსანიშნავია ასევე საბერძნეთის სამეფოს უმაღლესი კომისრის მიერ გაგზავნილი წერილი კონსტანტინოპოლში საქართველოს გენერალურ კონსულ იოსებ გოგოლაშვილისადმი. კომისარი ულოცავს კონსულს საქართველოს დე იურედ აღიარებას (კონსტანტინოპოლი 21/3 თებერვალი 1921) (სეა სცა 1864.2.581).

Acting Foreign Minister Konstantine Sabakhtarashvili sends an official letter to the Minister of Foreign Affairs of the Kingdom of Greece:

"To establish long-term friendly relations between Greece and the Republic of Georgia, the Government of Georgia instructs a member of the Constituent Assembly, the former Minister of Foreign Affairs of Georgia, the Ambassador Plenipotentiary, and the Extraordinary Representative, Mr. Akaki Chkhenkeli to establish relations with the Republic of Georgia and with the Government of His Majesty the King of Greece.

I humbly request Your Majesty to welcome Mr. Chkhenkeli and express confidence in all statements he has presented to the Government of the King of Greece.

I take the opportunity to express Georgia's deepest sympathy for Greece and the firm hope that our countries will establish stable, friendly relations." 1921 (NAG CHA 1864.2.462).

It is also worth noting the letter sent by the High Commissioner of the Kingdom of Greece to the Consul General of Georgia in Constantinople, Ioseb Gogolashvili. The commissioner congratulates the consul on Georgia's recognition de jure (Constantinople 21/3 of February 1921) (NAG CHA 1864.2.581).

საბუთებიდან ჩანს, რომ ქართული მხარისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბერძნეთის სამეფოს და კერძოდ, პრემიერ ვენიზელოსის მხარდაჭერას პარიზის საზავო კონფერენციაზე. ბერძნული მხარისთვის კი აქტუალური იყო საქართველოს დახმარება ბერძენ ლტოლვილებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

ზოგადად, ბერძენი ლტოლვილების საკითხი ურთულეს პრობლემად ისახებოდა XX საუკუნის დასაწყისისათვის. საუბარია როგორც საბერძნეთიდან სხვადასხვა დროს ლტოლვილ ისე, პონტოს რეგიონიდან გადასახლებულ ბერძნებზე.

მასობრივმა ემიგრაციამ არა მხოლოდ შეცვალა უამრავი ადამიანის ცხოვრება, არამედ გამოიწვია მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები კავკასიისა და მცირე აზიის რეგიონებში. იმპერიულმა მეტოქეობამ და ნაციონალიზმმა, ირგვლივ მიმდინარე ომებმა წარმოშვა მილიონობით ლტოლვილი რეგიონში - კავკასიიდან ანატოლიამდე და ბალკანეთამდე (McCarthy 1995: 1-21 as cited in Şeker, 2013). ორივე მხარე, როგორც რუსეთი, ისე ოსმალეთი, ცდილობდა ლტოლვილების განსახლებას თავისი სამხედრო, სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნების შესაბამისად.

თურქეთიდან დევნილი ბერძნები, რაკი დაბლობში მალარია მძვინვარებდა, ძირითადად, დასახლდნენ ბათუმსა და ქობულეთი-ბათუმის მახლობელ მთაბორცვიან სოფლებში: ახალშენი, ფერია, ყოროლისთავი, დაგვა, კვირიკეს თემი (ზედა კვირიკე, ქვედა კვირიკე, კვირიკე), აჭყვა (ზედა აჭყვა, ქვედა აჭყვა). ტოპონიმების ნაწილი ოსმალეთში გავრცელებულ ბერძნულ სახელწოდებებს იმეორებდა (Пашаева, 1992:18) as cited in გიორგაძე, მგელაძე, ტუნაძე, ძნელაძე, ლორია, აბულაძე, ჩხარტიშვილი (2017), 15). სოფელი სანთა წალკის რაიონში, წინწყაროს თემში დღესაც არსებობს. ეს სახელი მომდინარეობს ტრაპიზონში ბერძნებით დასახლებული ადგილის სახელწოდებიდან სანთა გიორგაძე და სხვა, 2017:15-16. (გიორგაძე და სხვა, 2017:15-16).

The documents show that the support of the Kingdom of Greece and, in particular, Prime Minister Venizelos at the Paris Peace Conference was of great importance to the Georgian side. For the Greek side, it was important to help Georgia solve the problems associated with Greek refugees.

In general, the issue of Greek refugees was considered the most difficult problem at the beginning of the twentieth century. We are talking about refugees from Greece at different times, as well as about Greeks who emigrated from the Pontic region.

Massive emigration not only changed the lives of many people but also led to significant socio-political changes in the regions of the Caucasus and Asia Minor. The imperial rivalry and nationalism, surrounding the wars led to the emergence of millions of refugees in the region - from the Caucasus to Anatolia and the Balkans (McCarthy 1995: 1-21 as cited in Şeker, 2013). Both sides, Russia and the Ottomans have tried to resettle refugees under their military, strategic, and political goals.

Greeks resettled from Turkey, as malaria was spread on the plain, mostly settled in Batumi and Kobuleti-Batumi mountain villages: Akhalsheni, Feria, Korolistavi, Dagva, Kvirike's temi (Upper Kvirike, Lower Kvirike, Kvirike), Achkva (Upper Achkva, Lower Achkva). Some place names repeated the common Greek names in the Ottoman Empire (Пашаева, 1992:18) as cited in Giorgadze, Mgeladze, Tunadze, Dzneladze, Loria, Abuladze, Chkhartishvili (2017: 15). The village of Santa in the Tsalka region still exists today in the community of Tsintskaro. This name comes from the name of a place inhabited by Greeks in Trabzon, Santa (Giorgadze, and others, 2017:15-16).

აკაკი ჩხენკელი (1874-1959) – პოლიტიკოსი და დიპლომატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.
ფოტო ინტერნეტიდან:
http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000222/

Akaki Chkhenkeli (1874-1959) – A politician and diplomat, Minister of Foreign Affairs of the Democratic Republic of Georgia, member of the National Council and the Constituent Assembly
Photo from the internet:
http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000222/

République Démocratique de Géorgie.

AU NOM DU PEUPLE GEORGIEN.

Le Gouvernement de la République Démocratique de Géorgie certifie par les présentes que *Monsieur Akaki Tchenkeli ex-Ministre des Affaires Etrangères de Géorgie, Membre de l'Assemblée Constituante* est nommé Ministre Plénipotentiaire et Envoyé Extraordinaire du Gouvernement de la République Démocratique de Géorgie auprès *du Gouvernement de Sa Majesté Royale Hellénique.*

A ce titre il est autorisé à traiter toutes les questions politiques, économiques, financières et autres et à conclure tous traités et conventions.

En foi de quoi ces lettres de créance lui furent délivrées avec signature conforme et apposition du sceau.

Le Gouvernement de la République de Géorgie prie d'accorder à Monsieur *Akaki Tchenkeli* pleine confiance et de prêter foi à toutes les déclarations qu'il fera au nom du Gouvernement de la République.

Fait à Tiflis le *vingt-neuf janvier, mil neuf cent vingt et un.*

Le Président du Gouvernement N. Zhordania

Ministre des Affaires Etrangères

საბუთი აკაკი ჩხენკელის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ საბერძნეთის სამეფოში 1921 წლის იანვარი.
(სეა სცა 1864.2.462)

Document on the appointment of Akaki Chkhenkeli as Plenipotentiary Ambassador of the Government of the Democratic Republic of Georgia January, 1921.
(NAG CHA 1864.2.462)

[illegible]



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილის წერილი გრიფით „საიდუმლო“ ცენტრალურ სასურსათო საბჭოს: „ყოველნაირ საქმეებზე, რომელიც ეხება ელინთა საბჭოს, ცნობილ იქმნას ნაციონალური საბჭოს სახელწოდებით „Национальный Совет Эллинов Грузии“, რომლის სათავეში არიან ინჟინერი ბ. ეფიმიადისი, სპილიოტისი და კუნდურიდისი“
1919 წლის 27 თებერვალი.
(სეა სცა 1863.1.786)

A confidential letter from the Minister of Internal Affairs of the Democratic Republic of Georgia, Noe Ramishvili, to the Central Food Council with the signature stamp "Secret": "On all issues related to the Council of Greeks (Hellenes), a national council will be created under the name "National Council of Hellins of Georgia", headed by engineer B. Efthymiadis, Spiliotis, and Kunduridis"
February 27, 1919.
(NAG CHA 1863.1.786)

XIX საუკუნის 50-60-იან წლების ბათუმში არსებობდა ე. წ. „ურუმთა უბანი", რომელიც ნაწილობრივ ეთნიკური ბერძნებით იყო დასახლებული. ეს უბანი ბათუმის იმ ნაწილში მდებარეობდა, სადაც ურუმელებმა, ჯერ კიდევ ოსმალთა მმართველობის პერიოდში, ქართველებთან ერთად, მართლმადიდებლური ეკლესია ააგეს. მართლმადიდებლებს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის აშენება 1865 წელს დაუწყიათ (მგელაძე, ფუტკარაძე, 2008:80-100; მგელაძე, ლორია, 2009:190-200 as cited in გიორგაძე და სხვა, 2017:21).

XX საუკუნის პირველი ათწლეულების მხოლოდ რამდენიმე მონოგრაფიაში დასტურდება ბერძნული მოსახლეობის არსებობა კავკასიაში. ერთ-ერთი ასეთი მონოგრაფიის ავტორია კალფოღლუ, რომელიც ბათუმის ბერძნულ თემზე წერს (Κάλφογλου, 1908:13-20 as cited in Perchanidou 2018:5). ის აღნიშნავს, რომ 1907 წელს, ბათუმში მცხოვრები ბერძნების რიცხვი თითქმის 3500-ს, ყარსის ტერიტორიაზე კი თითქმის 37 ათასს აღწევდა (Κάλφογλου, 1908:111-114 as cited in Perchanidou 2018:6). თუმცა, არქივებიდან ამოღებულ ლტოლვილთა ჩვენებებში ბევრჯერაა ნახსენები პერიოდული მიგრაციები რუსეთის იმპერიაში. გარკვეული დროის განმავლობაში, მშენებლები, მუშები და ვაჭრები მიდიოდნენ ყარსის, არდაღანისა და ბათუმისკენ სამუშაოდ და შემდეგ ისევ ბრუნდებოდნენ პონტოს რეგიონში. როგორც წესი, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ეს სეზონური მოძრაობა მუდმივ დასახლებაში გადაიზრდებოდა ხოლმე (Ξανθοπούλου-Κυριακού, 1993:133; Φάκελος Μαρτυριών Τραπεζούντας, Φάκελος Μαρτυριών Καρς, Ιστορικό Αρχείο Προσφυγικού Ελληνισμού (ΙΑΠΕ) as cited in Perchanidou 2018:6). ეს სეზონური მიგრაცია კიდევ უფრო აძლიერებდა ბერძნულ ელემენტს კავკასიის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების გასწვრივ, საქართველოს სამხრეთ ნაწილში, სომხეთში. XX საუკუნის დასაწყისში,

In the 1850s and 1860s, there was an "Urums district" in Batumi, partially inhabited by ethnic Greeks. This area was located in that part of Batumi, where the inhabitants of Urum, during the Ottoman rule, together with the Georgians built an Orthodox church. Orthodox Christians began construction of the St. Nicholas Church in 1865 (Mgeladze, Putkaradze, 2008:80-100; Mgeladze, Loria, 2009:190-200 as cited in Giorgadze, Mgeladze, Tunadze, Dzneladze, Loria, Abuladze, Chkhartishvili (2017:21).

Only a few monographs from the first decades of the 20th century confirm the existence of the Greek population in the Caucasus. The author of one of these monographs is Kalfoglu, who writes about the Greek community of Batumi (Κάλφογλου, 1908:13-20 as cited in Perchanidou 2018:5). He notes that in 1907, the number of Greeks living in Batumi was almost 3500, and in the territory of Kars it reached almost 37 thousand (Κάλφογλου, 1908:111-114 as cited in Perchanidou 2018:6). However, the testimonies of refugees extracted from the archives repeatedly mention periodic migrations to the Russian Empire. For some time, builders, workers, and merchants went to work in Kars, Ardagan, and Batumi, and then returned to the Ponto District. Usually, after a certain period, this seasonal movement develops into a permanent settlement (Ξανθοπούλου-Κυριακού, 1993:133; Φάκελος Μαρτυριών Τραπεζούντας, Φάκελος Μαρτυριών Καρς, Ιστορικό Αρχείο Προσφυγικού Ελληνισμού (ΙΑΠΕ) as cited in Perchanidou 2018:6). This seasonal migration further strengthened the Greek element in the territory of the Caucasus, especially along the eastern shores of the Black Sea, in the southern part of Georgia and in Armenia. At the beginning of the 20th century, 150 thousand Greeks were settled in the Caucasus (Xanthopoulou-Kyriakou, 1991:360)*.

*On this part of the text (p.27, p.32) worked Nino Gugunashvili.



საქართველოს
რესპუბლიკა

მთავრობის თავმჯდომარე

Греческому
Національному Совѣту

„10„ октября 1918г.
№10309

ქ. თბილისი.

По распоряженіи Предсѣдателя Правительства и на основаніи закона Національнаго Совѣта Грузіи 13 сего сентября /ст."Самартвелосъ Республика" № 45 отъ сего числа/, прошу Національный Совѣтъ грековъ /грузинскихъ гражданъ/ избрать десять представителей въ парламентъ Грузіи.

И.д. Управляющаго дѣлами Правительства „Гр Робакидзе".

Получил 10/октября 1918 г.

სახელმწიფო საქმეთა მმართველის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის, გრიგოლ რობაქიძის წერილი ელინთა ეროვნული საბჭოსადმი საქართველოს პარლამენტისთვის 10 წარმომადგენლის შერჩევის შესახებ
1918 წლის 10 ოქტომბერი, თბილისი.
(სეა სცა 1861.1.98)

A letter from the interim manager of state affairs Grigol Robakidze to the National Council of Greeks, in which he asks to elect 10 representatives to the Parliament of Georgia
October 10, 1918, Tbilisi.
(NAG CHA 1861.1.98)

კავკასიაში 150 ათასი ბერძენი სახლობდა (1991:360)*.

როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი იმპერიათაშორისი პრობლემა მემკვიდრეობით ერგო საქართველოს ახლადშექმნილ რესპუბლიკას: ბერძენი ლტოლვილების საკითხთან დაკავშირებით, 1919 წელს საქართველოში ჩამოვიდა საბერძნეთის მისია იანის სტავრიდაკისის ხელმძღვანელობით. სადგურზე მისიას საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ივანე ლორთქიფანიძე და საგანგებო დავალებათა მოხელე პეტრე ჩინიჯიშვილი დახვდნენ. საქართველოს ბერძენი მოსახლეობის სახელით, დიპლომატიურ მისიას ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები მიესალმნენ. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოში თავს უცხოელებად არ გრძნობდნენ, საქართველოს მთავრობა მათზე მუდამ ზრუნავდა და რომ საქართველო მათი მეორე სამშობლო იყო. მისიის მეთაურმა მადლობა გადაუხადა მთავრობის წარმომადგენლებს ამგვარი ზრუნვისათვის და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და საბერძნეთს შორის საუკეთესო მეგობრული ურთიერთობა დამყარდებოდა.

საბერძნეთის მისიის წარმომადგენლები შეხვდნენ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელს, საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს, რომელთანაც მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, N177, 1919 წელი).

მოგვიანებით, 1920 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბერძნეთიდან შვიდკაციანი დიპლომატიური მისია ჩამოვიდა შემდეგი შემადგენლობით: მისიის თავმჯდომარე პერიკლის სკეფერისი, ლეიტენანტი ალექსანდროს რაფაელი, ჟან კონსტანდარაკი (იოანის კონსტანდარაკისი), ჟან ანჟელაკი (იოანის ანგელაკისი), (სტავროს) კანონიდისი, ალექსანდრე კუნდუროვი, კაპრალი ნ. კურინოსი (სეა სცა 1891.1.416).

As already mentioned, one of the inter-imperial problems inherited by the newly created Republic of Georgia was the issue of Greek refugees. In 1919, a Greek mission led by Giannis Stavridakis arrived in Georgia. At the station, the mission was met by Foreign Ministry spokesman Ivane Lortkipanidze and special assignment officer Petre Chinijishvili. On behalf of the Greek Population of Georgia, the diplomatic mission was welcomed by representatives of the National Council. They noted that they do not feel like foreigners in Georgia, that the Georgian government always cares about them, and that Georgia is their second homeland. The head of the mission thanked the representatives of the government for such care and expressed the hope that the best friendly relations would be established between Georgia and Greece.

Representatives of the Greek mission also visited the acting Prime Minister, Foreign Minister Evgeni Gegechkori, with whom a long conversation took place (Newspaper “Republic of Georgia”, N177, 1919).

Later, in 1920, a seven-member diplomatic mission from Greece arrived in the Democratic Republic of Georgia: Mission Chairman Periklis Skeferis, Lieutenant Alexandros Rafael, Jean Konstandaraki (Iannis Konstandarakis), Jean Angelakis (Iannis Angelakis), (Stavros) Kanonidis, Alexander Kundurov, Corporal N. Kurinos (NAG CHA 1891.1.416).

*ტექსტის ამ ნაწილზე (გვ.27, გვ.32) იმუშავა ნინო გუგუნაშვილმა.



MISSION ROYALE HELLENIQUE
D'ASSISTANCE

3 января 1921 года.
г. Батумъ.

Особоуполномоченному Правительства
Республики Грузіи въ Батумѣ и Батумской Области

Вслѣдствіе отношенія Вашего отъ 2-го сего января за № 1 имѣю честь увѣдомить Васъ,что съ пароходами "Хіосъ" и "Феодано Сидириду" было отправлено 2022 головы крупнаго скота и такимъ образомъ къ слѣдующему дню имѣется въ наличіи 3396 головъ.

2-го сего января прибылъ въ Батумскій портъ третій пароходъ "Фемосъ" и такимъ образомъ на пароходахъ "Лемносъ", "Лафки" и "Фемосъ" будутъ отправлены всѣ находящіеся нынѣ въ Батумѣ бѣженцы ардаганскаго Округа, за исключеніемъ больныхъ, размѣщенныхъ въ госпиталяхъ.

На тѣхъ же пароходахъ будутъ отправлены и животныя, и количество оставшихся въ Батумѣ животныхъ будетъ выяснено послѣ погрузки, и по приблизительному подсчету останется ихъ не болѣе 1400 головъ.

Но кромѣ указанныхъ бѣженцевъ въ Батумъ ожидается еще до 2500 бѣженцевъ ардаганскаго Округа и принадлежащій имъ скотъ въ количествѣ 2000 головъ,каковые будутъ отправлены на двухъ ожидаемыхъ къ тому пароходахъ и такимъ образомъ эвакуація бѣженцевъ будетъ закончена, полагаю, къ 10-му сего января.

Одновременно съ симъ имѣю честь сообщить Вамъ, что несмотря на неоднократныя наши просьбы о недопущеніи въ Батумъ грековъ-жителей Республики Грузіи,каковыхъ консулы не будутъ эвакуировать въ Грецію,въ виду категорическаго о томъ запрещенія Эллинскаго Правительства, послѣдніе все же проникаютъ въ Батумъ и въ значительномъ количествѣ, опредѣляемомъ нами къ сегодняшнему дню въ 1000 человѣкъ. Посему во избѣжаніе могущихъ въ будущемъ имѣ положеній

...ряженія нашего категорическаго распоряженія о недопущеніи ...въ Батумъ грековъ-бѣженцевъ, прибывающихъ сюда главнымъ образомъ ...морскимъ путемъ изъ Сухума и Сухумской Области. -

Генеральнаго Консула Королевской
Греческой Миссіи въ Закавказіи

სამხრეთ კავკასიაში ელინთა სამეფო მისიის ხელმძღვანელის - კონსტანდარაკისის წერილი საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო წარმომადგენელთან ბათუმსა და ბათუმის ოლქში; კონსტანდარაკისი აცნობებს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს ბათუმიდან გემებით გამგზავრებული თუ გასამგზავრებელი ლტოლვილების, ასევე მსხვილფეხა საქონლის შესახებ
1921 წლის 3 იანვარი, ბათუმი.
(სეა სცა 1872.1.16)

Letter from Konstandarakis, the head of the Greek Royal Mission in the South Caucasus to the Extraordinary Representative of the Republic of Georgia in Batumi and Batumi District; Konstandarakis informs the representative of the Georgian government about refugees and cattle who have set off or are going to leave Batumi by ship
January 3, 1921, Batumi.
(NAG CHA 1872.1.16)

ამავე პერიოდში საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის სამეფოს სამხრეთ კავკასიის მისიის უფროს კონსტანდარაკისს შორის მიმდინარეობდა მიმოწერა სომხეთიდან და არდაღანის 5 სოფლიდან წამოსულ იმ ბერძენ ლტოლვილთა საბერძნეთში დაბრუნების თაობაზე, რომლებიც იმჟამად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.

„ამ დღეებში ყარსიდან ბათომში ჩამოვიდა 1600 ლტოლვილი ბერძენი, 7 ივნისს კიდევ ჩამოვიდა იქიდანვე 1500 კაცი. აღნიშნული ლტოლვილები გემი „ნავიხო“-თი საღონიკში წავლენ. სამშობლოში დაბრუნების ნება დაერთო მხოლოდ იმ ლტოლვილ ბერძნებს, რომლებიც სომხეთში იმყოფებოდნენ. ლტოლვილ ბერძნების სამშობლოში გაგზავნის საქმეზე მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც უმთავრესად ბერძნებისაგან შესდგება“ - იწერებოდა გაზეთი „ერთობა“ (N131, 1920 წლის 13 ივნისი).

რთული აღმოჩნდა როგორც ლტოლვილი ბერძნების მიღება-დაბინავება, თუ მათთვის სატრანზიტო გზის შექმნა, ისე - საქართველოდან უკან, საბერძნეთში გამგზავრების მსურველთა ინტერესების დაკმაყოფილება. სამშობლოში დაბრუნების მსურველი უამრავი ბერძენი ბათუმში იყრიდა თავს. თუმცა, საქართველოში ჩამოსულმა ელინთა მისიამ, კონსტანდარაკისის ხელმძღვანელობით, მათ გადაყვანაზე პასუხისმგებლობა მოიხსნა და ადგილობრივ ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, ყველანაირი ღონე ეხმარა საქართველოს მოქალაქეების ნაკადის შესაჩერებლად. ბათუმის პორტიდან სხვადასხვა გემით („კლეოპატრა“, „დაფნი“, „ლიმნოსი“, „თემისი“, „თეოფანო სიდირიდუ“) გადიოდნენ არა მხოლოდ ბერძენი ლტოლვილები, არამედ გადაჰყავდათ, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელიც. ლტოლვილთა შორის იყვნენ ავადმყოფებიც, რომლებიც გამოჯანმრთელებამდე



საბერძნეთის სამეფო თარგმანი
მისია.
N2011.

საბერძნეთის სამეფო მთავრობის საპოლიტიკო მისიას საპოლიტიკო მისიას აქვს პატივი გაუგზავნოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხად მისი ნოტისა N8891, 8 ოქტომბრის თარიღით სია მისიის მოხელეთა მათი ოჯახებითურთ.
I. ბ-ნ სკეფერის, მისი ცოლი და ცოლის და.
დეიტენანტი აღექსანდრე რაფაელი.
ბ-ნი ჟან კონსტანტარაკი.
ბ-ნი ჟან ანჟელაკი.
ბ-ნი ს.ტ. კანონიდი.
ბ-ნი აღექსანდრე კუნდუროვი მისი ცოლით.
კაპრალი ნ. კურინოს. ტფილისი 9/22
ოქტომბ. 1920

საქართველოს დემოკრატიულ
რესპუბლიკის საგარეო საქმეთა

დედანთა სწორეა: საგ.მინისტრს.
საქ. სამინ. პოლიტ. განყ.

საქმისმწ.

საბერძნეთის სამეფოს მთავრობის პოლიტიკური მისიის მოხელეებისა და მათი ოჯახების წევრთა სია
1920 წლის 9/22 ოქტომბერი, თბილისი.
შენიშვნა: პერიკლის სკეფერისი - ბერძენი დიპლომატი, პოლიტიკოსი და მწერალი; ბერძნული მისიის პირველი მდივანი.
(სეა სცა 1891.1.416)

List of officials of the Political Mission of the Government of the Kingdom of Greece and their families
9/22 October, 1920, Tbilisi.
Note: Periklis Skeferis – Greek diplomat, politician and writer, the First Secretary of the Greek Mission.
(NAG CHA 1891.1.416)

At the same time, correspondence was conducted between the Georgian government and Konstandarakis, the head of the South Caucasus Mission of the Kingdom of Greece, regarding the repatriation of Greek refugees from Armenia and 5 villages of Ardagan, stayed on the territory of the Republic of Georgia at that time.

"These days, 1600 Greek refugees arrived in Batumi from Kars, and on June 7 another 1500 people arrived from there. These refugees will travel to Thessaloniki on the "Navikho" ship. Only those Greek refugees who were in Armenia were allowed to return to their homeland. A

ბათუმის ჰოსპიტალებში რჩებოდნენ. ამას ისიც დაერთო, რომ 1920 წელს, საქართველოში ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. ელინთა დახმარების მისიამ 4000 დრაქმის ოდენობის ვაქცინა ჩამოიტანა და, ბერძნულ წითელ ჯვართან ერთად (რომლის უფროსობა იმ დროს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა), რამდენიმე ათასი ადგილობრივი მოსახლე უსასყიდლოდ აცრა.

მკაცრი გაფრთხილებების მიუხედავად, საქართველოს მოქალაქე ბერძნები საზღვაო გზით მაინც ახერხებდნენ სოხუმიდან და მიმდებარე ტერიტორიებიდან ბათუმში ჩასვლას და საბერძნეთში გამგზავრებას ცდილობდნენ. ბათუმის ნავსადგურის უფროსს გაუცია ბრძანება, რომლის თანახმადაც, ის ბერძნები დაუყოვნებლივ უკან უნდა დაებრუნებინათ, რომლებიც წვრილი მოტორიანი ხომალდებითა და გემებით სოხუმიდან, გაგრიდან და სხვა ადგილებიდან გადაადგილდებოდნენ. მკაცრად კონტროლდებოდა, ასევე, ფოთი და სოხუმი, რომ ბერძნებს ბათუმში გამგზავრების საშუალება არ ჰქონოდათ (სეა სცა 1872.1.16).

სოხუმელი სოციალ-დემოკრატების ჯგუფი
ცენტრში, მარცხნივ - ბენია ჩხიკვიშვილი, მარჯვნივ - იოანის ფაშალიდისი.
1918 წელი

A group of Social Democrats from Sokhumi
In the center on the left Benia Chkhikvishvili, and on the right Yannis Paschalidis.
1918

special commission is working to send Greek refugees to their homeland, which mainly consists of Greeks," - the "Ertoba" newspaper states (N131, June 13, 1920).

It turned out to be difficult to accept and accommodate Greek refugees, create a transit road, and satisfy the interests of those wishing to return from Georgia to Greece. Many Greeks gathered in Batumi from different parts of Georgia. However, the Greek mission arrived in Georgia under the leadership of Konstandarakis relieved himself of responsibility for their transfer, and asked the local authorities to make every effort to stop the flow of Georgian citizens. Not only Greek refugees but also different types of cattle were transported from the port of Batumi on various ships ("Cleopatra", "Daphne", "Limnos", "Themis", and "Theophano Sidiridu"). The refugees included sick people who remained in Batumi hospitals until they recovered. On top of this, a plague epidemic broke out in Georgia in 1920. The Greek support mission brought the vaccine for 4000 drachmas and, together with the Greek Red Cross (headquartered in Constantinople at the time), vaccinated several thousand locals free of charge (NAG CHA 1872.1.16).

Despite strict warnings, Greek citizens of Georgia still managed to arrive in Batumi from Sokhumi and nearby areas by sea and try to leave for Greece. The head of the Batumi harbor was given an order according to which those Greeks who had moved from Sokhumi, Gagra, and other places on motorboats and ships should be immediately returned. Poti and Sokhumi were also strictly controlled so that the Greeks would not have the opportunity to go to Batumi (NAG CHA 1872.1.16).

Over time, the Batumi Port Directorate calculated the damage caused by the refugees and told the mission the cost of the damage. Surprisingly, the local

დროთა განმავლობაში, ლტოლვილების მიერ მიყენებულ ზარალს ბათუმის პორტის დირექცია ითვლიდა და მისიას ზარალის ხარჯებს ატყობინებდა. თუმცა, მთლიანი ზარალის გადახდას ადგილობრივი ხელისუფლება არ ითხოვდა. მისიას კი, რომელსაც ისედაც ბევრი ხარჯი ჰქონდა, ლტოლვილების გამგზავრების გარდა, ფოთსა და ბათუმში დაპატიმრებულ ბერძენ ლტოლვილებსა თუ მათ გათავისუფლებაზე ზრუნვაც უწევდა (სეა სცა 1872.1.16).

ზოგადად, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, 1918-1921 წლებში, ბერძნული თემი საკმაოდ აქტიური იყო საკუთარი მოქალაქეების უფლებათა დაცვის საკითხში. ისინი აქტიურობდნენ როგორც ეროვნულ საბჭოში, ისე - დამფუძნებელ კრებაში.

government did not insist on full compensation for the entire amount of the damage. The mission, which already had a lot of expenses, in addition to the departure of refugees, had to also take care of the Greek refugees imprisoned in Poti and Batumi or their release (NAG CHA 1872.1.16).

In general, during the First Democratic Republic, 1918-1921, the Greek community actively defended the rights of its citizens. They were active in both the National Council and the Constituent Assembly.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა
დეპუტატთა შორის ზის იოანე ფაშალიდისი.
1919 წლის 12 მარტი.

The first session of the Constituent Assembly of Georgia
Among the deputies is Yannis Paschalidis.
March 12, 1919.



ხძას ჯაჭვის ელინთა დემოკრატ. პარტიის ხიას

№ 15.

1. პარასკევოვი მიხეილ პავლეს ძე
2. პოლიტოვი ნიკოლოზ ვასილის ძე
3. მიხაილოვი ალექსანდრე მიხეილის ძე
4. შახბაზოვი კირიაკე ივანეს ძე
5. პილავოვი ევსტატე ვასილის ძე
6. კოტანოვი არკადი ივანეს ძე
7. მელიკოვი აბრამ ნიკოლოზის ძე
8. უმუდუმოვი გიორგი სიმონის ძე
9. გრიგორიადისი ივანე პეტრეს ძე
10. იოანიდი ქრისტეფორე ანასტასის ძე

Голосую за списокъ Эллинской Демократ. партіи

№ 15

1. Параскевовъ Михаилъ Павловичъ
2. Политовъ Николай Васильевичъ
3. Михаловъ Александръ Михаловичъ
4. Шахбазовъ Кіріакъ Ивановичъ
5. Пилавовъ Евстаній Васильевичъ
6. Котановъ Аркадій Ивановичъ
7. Меликовъ Авраамъ Николаевичъ
8. Умудумовъ Георгій Семеновичъ
9. Григоріадисъ Иванъ Петровичъ
10. Іоаниди Христофоръ Анастасьевичъ

Ψηφίζω ὑπὲρ τοῦ καταλόγου τοῦ
Ἑλληνικοῦ Δημοκρατικοῦ κόμματος
ὑπὸ τὸν ἀριθ. 15.

1. Παρασκεύωφ Μιχαὴλ Παύλου.
2. Πολίτωφ Νικόλαος Βασιλείου.
3. Μιχαήλωφ Ἀλέξανδρος Μιχαήλ.
4. Σαχπάζωφ Κυριακὸς Ἰωάννου.
5. Πιλάβωφ Εὐστάθιος Βασιλείου.
6. Κετάνωφ Ἀρκάδιος Ἰωάννου.
7. Μβλικωφ Ἀβραὰμ Νικολάου.
8. Οὐμουτούμωφ Γεώργιος Σιμεών.
9. Γρηγοριάδης Ἰωάννης Πέτρου.
10. Ἰωαννίδης Χριστόφορος Ἀναστασίου.

ელინთა დემოკრატიული პარტიის საარჩევნო ბიულეტენი
1919 წელი
(სეა სცა 1834.2.53)

An election ballot of the Hellenic Democratic Party
1919
(NAG CHA 1834.2.53)

ალექსანდრე მიხაილოვი ეროვნულ საბჭოში ბერძნული თემის წარმომადგენელი იყო 1918 წელს, ხოლო 1919 წლიდან, დამფუძნებელი კრების წევრად ექიმი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იოანის ფაშალიდისი აირჩიეს. როგორც ცნობილია, 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, იოანის ფაშალიდისმა საქართველო დატოვა და მოგვიანებით, საკუთარ სამშობლოში ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. ზოგადად, საქართველოს ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნების კამპანიაში მონაწილეობდა ელინთა დემოკრატიული პარტიაც, რომლის საარჩევნო სიაც 10 წევრისაგან შედგებოდა (სეა სცა 1834.2.53).

ელინთა საბჭოს არა მხოლოდ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ ზოგადად ბერძნული თემის გადარჩენის საკითხში დიდი წვლილი მიუძღოდა.

Alexander Mikhailov was the representative of the Greek community in the National Council in 1918, and since 1919 the doctor, politician, and public figure Yannis Paschalidis was elected a member of the constituent assembly. It is well known that, in 1921, after the Sovietization of Georgia, Yannis Paschalidis left Georgia and later engaged in active political activity at home. In general, the Hellenic Democratic Party, whose electoral list consisted of 10 members, participated in the campaign of the first democratic elections in the history of Georgia (NAG CHA 1834.2.53).

The Hellenic Council made a great contribution not only to the political life of Georgia but also to the survival of the Greek community as a whole.



იოანის ფაშალიდისის თანხმობის წერილი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრობაზე კენჭისყრის შესახებ
1919 წელი
(სეა სცა 834.2.73)

A letter of consent of Yannis Paschalidis to vote for membership in the Constituent Assembly of Georgia
1919
(NAG CHA 1834.2.73)



ალექსანდრე მიხაილოვის თანხმობის წერილი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრობაზე კენჭისყრის შესახებ
1919 წელი
(სეა სცა 1834. 2.76)

A consent of Alexander Mikhailov to vote for membership in the Constituent Assembly of Georgia
1919
(NAG CHA 1834.2.76)



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი,
მიღებული 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე და დადასტურებული საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წელს დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერს იოანის ფაშალიდისიც.

The Act of Independence of Georgia,
adopted on May 26, 1918, at a meeting of the National Council of Georgia and approved by the Constituent Assembly of the Republic of Georgia in 1919
Among other deputies, the act of independence was also signed by Yannis Paschalidis.

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, საშუადღევოს 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრებისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარებმა დასტოვეს ამიერკავკასია.

„დარჩნენ რა თავის საკუთარ ძალღონის ამარა, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იკისრეს თავის საკუთარი საქმეების გაძღოლა და სათანადო ორგანოებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა იმპერატიულად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე მტრის დაპყრობისაგან თავი დაიხსნას და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით—კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქმნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი საბჭოს წინაშე.

Paul Bühl

სოხუმის ელინთა საბჭოს მთელი ყურადღება ხალხის გასაჭირისკენ იყო მიმართული. მაგალითად, ცნობილია, რომ 6000 ლტოლვილს (თამბაქოს პლანტატორ ბერძნებს) შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა და ისინი საბჭოს ამარად დარჩნენ, რადგან თამბაქოზე მონოპოლიის შემოღებისას (იგულისხმება დამფუძნებელი კრების 1919 წლის 24 ოქტომბრის დეკრეტი ფოთოლ თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ) პლანტატორებმა არ გაანაშენიანეს და, სამშობლოში დაბრუნების იმედით, კაპიკებად გაყიდეს თავიანთი ყანები. ამას დაერთო 1920 წლის გვალვა, რომელმაც საბოლოოდ გაანადგურა და გააკოტრა ბერძენი გლეხები. ელინთა ეროვნული საბჭო დაბეჯითებით სთხოვდა საქართველოს მთავრობას სოხუმის ოლქის ბერძენი გლეხებისთვის 3000 ფუთი დასათესი ქერის და სხვა მატერიალური დახმარების გამოყოფას იმ იმედით, რომ გლეხები საკუთარი შრომისმოყვარეობით მალე დადგებოდნენ ფეხზე (სეა სცა 1861.1.440).

All the attention of the Hellenic Council of Sokhumi was drawn to the plight of the people. For example, 6,000 refugees (Greek tobacco planters) are known to have been at risk of starving to death and remained in the care of the Council because, when a tobacco monopoly was introduced (referring to the decree of the Constituent Assembly of October 24, 1919, according to which a monopoly on tobacco raw materials (leaf tobacco) was declared), planters did not cultivate land and, in the hope of returning to their homeland, sold their lands for nothing. The situation was aggravated by the 1920 drought, which eventually devastated and ravaged the Greek peasantry. The National Hellenic Council asked the Georgian government to provide 3000 feet of barley and other material assistance to Greek farmers in the Sokhumi region, hoping that farmers would soon find their feet with their diligence and labor (NAG CHA 1861.1.440).



იოანის ფაშალიდისის წერილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს; ითხოვს დახმარებას ბერძნული სკოლების რეორგანიზაციისა და თამბაქოს მოწევის საქმიანობით დაკავებული 6000 ბერძენი ლტოლვილის პრობლემების გადაწყვეტაში
1920 წლის 30 ოქტომბერი, სოხუმი.
(სეა სცა 1861.1.440)

A letter from Yannis Paschalidis to the Prime Minister of the Democratic Republic of Georgia, in which he requests government assistance for the reorganization of Greek schools and addresses the issues of 6,000 Greek refugees engaged in tobacco cultivation
October 30, 1920, Sokhumi.
(NAG CHA 1861.1.440)


Г. Представителю Грузии

Д-ру Ахметели

в Берлине.

Имею честь довести до Вашего сведения, что я возвращаюсь в Константинополь. Поэтому прошу Вас сообщить об этом Правительству, чтобы своевременно прислало мне деньги на дорогу

С Уважением

Бер. 7 VIII 22.

იოანის ფაშალიდისის წერილი ვლადიმერ ახმეტელთან მისი ბერლინიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნების შესახებ
1922 წლის 7 აგვისტო, ბერლინი.
(სეა სცა 1864.4.701)

A letter from Yannis Paschalidis to Vladimir Akhmeteli on his return from Berlin to Constantinople
August 7, 1922, Berlin.
(NAG CHA 1864.4.701)

საქმე

ბერძნული გიმნაზიისა

ბრძოლა იდენტობის შენარჩუნებისთვის
STRUGGLE TO PRESERVE IDENTITY

საქართველოში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში არსებობდა არაერთი ბერძნული საზოგადოება, ესენია: წალკის, ბორჯომის საქველმოქმედო, თბილისის ელინთა კულტურულ-საგანმანათლებლო, ბათუმის ბერძნული აღმზრდელობითი საზოგადოება „კოლხიდა“ და სხვა. თბილისშივე იყო განთავსებული კავკასიის ბერძნული საზოგადოება. ამ საზოგადოებებს ძირითადად გამოკვეთილი საერთო ამოცანები ჰქონდა. ეს ამოცანები მიზნად იმ მიმართულებების გამყარებას ისახავდა, რომლებიც აუცილებელი იყო ბერძნების იდენტობის შენარჩუნებისათვის: აშენებდნენ ბერძნულ ტაძრებს, ხსნიდნენ ბერძნულ სკოლებს და მოსწავლეებს ამარაგებდნენ აუცილებელი სახელმძღვანელოებით, იღებდნენ ზომებს ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მოწყობა-შენახვისათვის, საზოგადოებების შემოსავლების მიხედვით ეწყობოდა საზოგადოებრივი სასადილოები და ღამის გასათევი სახლები, ზრუნავდნენ ბერძნების დასაქმებაზე და ა. შ.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 1917 წლისათვის საკმაოდ საგულისხმო სტატისტიკური მონაცემები გვაქვს მათ შორის ბერძნული სკოლების შესახებ: „1917 წელს სამხრეთ კავკასიაში ბერძნული სკოლების რაოდენობა 200 აღწევდა - ყარსის ოლქში 106 სკოლა იყო, ერევნის გუბერნიაში - 6, თბილისის გუბერნიაში - 43 და დაახლოებით 50 სკოლა კი - დასავლეთ საქართველოში. ბერძნული სკოლების უმრავლესობა ძველ შენობა-ნაგებობებში იყო განთავსებული და მათ ბერძნები საკუთარი თანხებით ინახავდნენ“ (სეა სცა 1935.1.188).

In the late 19th and early 20th centuries, several Greek communities operated in Georgia, such as the Community of Tsalka, the Borjomi Charitable Community, the Tbilisi Hellenic Cultural and Educational Community, the Batumi Greek Educational Community “Kolkhida” and others. The Caucasian Greek society was based in Tbilisi. They shared common tasks, all aimed at strengthening the directions necessary to preserve the identity of the Greeks: This included the construction of Greek temples, the establishment of Greek schools with provisions for necessary textbooks, initiatives to organize and maintain libraries and reading rooms, as well as the creation of public canteens and lodges funded by community incomes. Additionally, measures were implemented to facilitate the employment of Greeks.”

Therefore, no wonder that for 1917 we have very significant statistical data on Greek schools: “In 1917, the number of Greek schools in the South Caucasus reached 200 - there were 106 schools in Kars district, 6 in Yerevan province, 43 in Tbilisi province, and about 50 schools in Western Georgia. Most Greek schools were located in old buildings and maintained by the Greeks at their own expense” (NAG CHA 1935.1.188).

ეროვნულ უმცირესობათა სკოლების
(მათ შორის ბერძნული) **სია**
1920-1921 წლებში
(სეა სცა 1935.1.917)

A list of national minority schools
(including Greek) in 1920-1921
(NAG CHA 1935.1.917)

ს ი ა ერთვნულ უმცირესობათა დაწყებით და უმაღლეს დაწყებით

სკოლებისა 1920-21

№№	ქალაქებში.	სულ.	სომხური.	ებრაული.	ბერძნული.	ოსური.	აისორი.	ბაიდარული.	შ ე ნ ი შ ვ ნ ა.
1.	თბილისში.	22	19	2	1	1	1	1	*)მრავალ. სასწავლებლები: 2 რუსული; სულ=22; სომხური არის 1 სულ=19.
2.	ოზურგეთში	-	2	-	-	-	-	-	
3.	სიღნაღში.	-	2	-	-	-	-	-	დაწყებით და უმაღლეს დაწყებით
4.	ბორჯომში.	1	1	-	1	-	-	-	
5.	ხაშურში.	-	-	-	1	-	-	-	
6.	ქუთაისში	-	1	-	1	-	-	-	
7.	ტფილისში	1	-	-	-	-	-	-	
8.	სოხუმში	-	1	-	-	-	-	-	
9.	გუდაუთაში	-	-	-	1	-	-	-	
10.	ახალციხეში . . .	-	2	-	-	-	-	-	
11.	ახალქალაქში. . .	-	2	-	-	-	-	-	
	მაზრები:	"	"	"	"	"	"	"	
1.	სიღნაღის	7	2	4	-	5	-	-	
2.	თბილისის	14	1	5	4	-	-	-	
3.	გორის	1	-	-	1	41	-	-	
4.	ტუშეთის	-	-	-	-	-	1	-	
5.	ბორჩალოს	-	8	16	31	-	-	-	
6.	ახალციხის	-	4	4	-	-	-	-	
7.	ახალქალაქის . . .	1	1	-	-	-	-	-	
8.	ბორჩალოს	-	-	-	-	1	-	-	
9.	გუმისუის	8	16	-	22	-	-	-	ესუთნეთია 3 გუმბანეთია !
10.	კუთაისის	-	5	-	-	-	-	-	
11.	გუდაუთის	5	15	-	3	-	-	-	
12.	გაგრის რაიონი. .	-	3	-	-	-	-	-	
13.	ჩატის მაზ . . .	-	-	-	-	-	-	-	სოხში ერთი ებრაეთია სასწავლებელი.
14.	ქუთაისის	-	3	-	-	-	-	-	სუხუმში ერთი ებრაეთია სასწ
15.	ოზურგეთის	-	3	-	-	-	-	-	
	ს უ ლ ი . . .	60	81	31	65	48	2	1	

ბორჯომის ბერძნული საზოგადოება

XX საუკუნისათვის საკმაოდ აქტიური იყო ბორჯომში არსებული ბერძნული საზოგადოება. მისი დამაარსებლები, იყვნენ ბორჯომში მცხოვრები პირები - ქრისტეფორე მიხაილოვი, ლაზარე პანაიოტიდისი და ფილიპე მიხაილოვი. მათ 1914 წლის 21 აგვისტოს თხოვნით მიმართეს თბილისის გუბერნატორს ბორჯომში ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ. თუმცა ამ თხოვნას გამოხმაურება არ მოჰყოლია. 1915 წლის 28 სექტემბერს იმავე შინაარსის წერილი გაუგზავნეს თბილისის გუბერნატორს. საბოლოოდ, 1916 წელს ხელი მოეწერა ბორჯომის ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოების დაარსებას.

საზოგადოების წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო ბორჯომში ჩაწერილი როგორც ბერძენი, ისე ნებისმიერი სხვა ეროვნების დროებითი თუ მუდმივი მცხოვრები, რომელიც ყოველწლიურად საზოგადოების სასარგებლოდ გარკვეულ თანხას გადაიხდიდა (იმის გათვალისწინებით, რომ მინიმალური საწევრო გადასახადი 5 რუბლი იყო). მნიშვნელოვანი შემოწირულობის შემთხვევაში შემომწირველს საზოგადოების საპატიო წევრის წოდება ენიჭებოდა.

საერთო კრებაზე საზოგადოების თითოეულ წევრს როგორც ხმის მიცემის, ისე ნებისმიერ თანამდებობაზე კენჭისყრის უფლება ჰქონდა. საზოგადოების შემადგენლობაში არ დაიშვებოდნენ არასრულწლოვნები.

როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოების შემოსავალი ყოველწლიური საწევრო გადასახადისა და შემოწირულობებისგან შედგებოდა. საზოგადოებას გააჩნდა გარკვეული ქონება და კაპიტალი, რითიც ცდილობდა მოგების მიღებას; შემოსავალი ჰქონდა ასევე დრამატული წარმოდგენებიდან, საჯარო ლექციებიდან, ლიტერატურული საღამოებიდან და კონცერტებიდან. მიმართავდნენ აგრეთვე შემოწირულობების სხვა ფორმებსაც. ნებისმიერი შემოსული თანხა საზოგადოების სახელზე ინახებოდა საბჭოს მიერ არჩეულ საიმედო საკრედიტო დაწესებულებებში. ბორჯომის საზოგადოების ყოველწლიური ფულადი შემოსავლის ერთი მეათედი ინახებოდა სათადარიგო ანუ სამარაგო კაპიტალში, რომელიც მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის დროს, საზოგადოების საერთო კრების წევრთა ნებართვის გაცემით იხარჯებოდა.

საზოგადოების საქმეთა მმართველობა ეკისრებოდა საერთო კრებისა და ამ კრების მიერ არჩეულ ექვსწევრიან საბჭოს. საბჭოს თავმჯდომარეს, მდივანსა და ხაზინადარს თვითონ საბჭო ირჩევდა.

ქრისტეფორე მიხაილოვის, ლაზარე პანაიოტიდისა და ფილიპე მიხაილოვის თხოვნა თბილისის გუბერნატორისადმი „ბორჯომის ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოების" წესდების დამტკიცებისა და საზოგადოების გახსნაზე ნებართვის გაცემის შესახებ
1914 წლის 21 აგვისტო, ბორჯომი.
(სეა სცა 26.4.1839)

A request of Christopher Mikhailov, Lazare Panagiotidis, and Phillipe Mikhailov to the Governor of Tbilisi seeking approval for the charter of the Greek Charitable Community of Borjomi and permission to establish the Community
August 21, 1914, Borjomi.
(NAG CHA 26.4.1839)

The Greek community of Borjomi

By the 20th century, the Greek community in Borjomi had become quite active, fonded by local residents - Christopher Mikhailov, Lazare Panagiotidis, and Philipe Mikhailov. On August 21, 1914, they appealed to the Tbilisi governor with a request to establish the Greek Charitable Community in Borjomi and grant it the right to be a legal entity. Unfortunately, there was no response to this request. On September 28, 1915, a letter of the same content was sent to the Tbilisi governor. Finally, in 1916, an agreement was signed on the establishment of the Borjomi Greek Charitable Community.

A member of the community could be any temporary or permanent resident of Borjomi, Greek, or any other nationality who paid a certain amount annually in favor of the society (provided that the minimum membership fee was 5 rubles). Those making significant donations were awarded with the title of honorary member of the society.

At the general meeting, each member of the society possessed the right to both vote and nominate themselves for any position. Minors were not allowed into the community.

As already mentioned, the society's income consisted of annual membership fees and donations. The community-owned some property and capital, which was used to make a profit. It also earned income from dramatic performances, public lectures, literary evenings, and concerts. Other forms of donation were also used.

All the money received was placed in the name of the company with reliable credit institutions selected by the department.

One-tenth of the annual monetary income of the Borjomi Community was stored in reserve capital, which was spent only in cases of emergency with the permission of members of the general meeting of the company.

The management of the affairs of the society was entrusted to the general meeting, and the six-member council was elected at this meeting. The chairman, secretary, and treasurer of the council were elected by the council itself. The treasurer managed the incoming and outgoing funds in the community, which should be done only after the signature of the chairman and one of the members of the council, the treasurer kept a book of expenses, compiling an annual report. After approval of the meeting, the annual report was sent to the Governor of Tbilisi.



ბორჯომის ბერძნული სასწავლებლის მასწავლებლის, პანაიოტის კარასავიდის თხოვნა თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორისადმი მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ
1907 წლის 20 დეკემბერი.
(სეა სცა 427.2.62)

The appeal of the teacher of the Greek school of Borjomi Panagiotis Karasavidis to the director of public schools in the Tbilisi region about his dismissal
December 20, 1907.
(NAG CHA 427.2.62)

ხაზინადარი განკარგავდა საზოგადოებაში შემოსულ და გასულ თანხებს, ესეც ხდებოდა მხოლოდ თავმჯდომარისა და საბჭოს ერთ-ერთი წევრის ხელმოწერის შემდეგ, ხაზინადარი აწარმოებდა ხარჯების წიგნს და ადგენდა ყოველწლიურ ანგარიშს. შემდგომ საერთო კრების მიერ დამტკიცებული წლიური ანგარიში თბილისის გუბერნატორს ეგზავნებოდა.

კრება იმართებოდა თვეში ორჯერ თავმჯდომარის მოწვევით ან საბჭოს არანაკლებ 2 წევრის მოთხოვნის საფუძველზე. ბორჯომის ბერძნული საზოგადოება, როგორც მსგავსი საზოგადოებები, შინაგან საქმეთა სამინისტროს

The meeting was held twice a month at the invitation of the chairman or the request of at least 2 members of the council.

The Borjomi Greek Community, like similar communities, was administered by the Ministry of Internal Affairs, each had a personal seal and an official name.

For charity purposes, the company, by decision of the general meeting, was granted the right to acquire and dispose of property, and in the event of its closure



ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოების წესდება
1905 წლის 28 ნოემბერი.
(სეა სცა 427.1.145)

Charter of the Greek Charitable Community
November 28, 1905.
(NAG CHA 427.1.145)

ექვემდებარებოდა, თითოეულს ჰქონდა პირადი ბეჭედი და ოფიციალური სახელწოდება. საზოგადოებას, ქველმოქმედების მიზნით, ქონების შეძენა-განკარგვის უფლება ენიჭებოდა და იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზნით ის დაიხურებოდა, მის დაქვემდებარებაში არსებული ქონება, მთლიანი ფულადი კაპიტალი, საერთო კრების გადაწყვეტილებითა და გუბერნატორთან შეთანხმებით, სხვა ბერძნულ საქველმოქმედო დაწესებულებაში გადადიოდა (სეა სცსა 26.4.1839).

ბორჯომის საზოგადოება, როგორც უკვე აღინიშნა, ოფიციალურად 1916 წელს გაფორმდა, თუმცა, როგორც ჩანს, მანამდე საზოგადოებრივ საწყისებზე არსებობდა. საქმე ისაა, რომ საარქივო დოკუმენტები, მართალია, მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ბორჯომში არსებობდა ბერძნული სასწავლებელი, რომლის ფუნქციონირებაშიც ბორჯომის ბერძნულ საზოგადოებას გარკვეული მონაწილეობა მიუღია. 1902-1906 წლებში ამ სასწავლებლის გამგედ პროსკინიტოპულოსი გაუმწესებიათ[1]. ხოლო ამ სკოლის შემდეგი მასწავლებელი დოკუმენტების მიხედვით პანაიოტის კარასოვი (კარასავიდისი) ჩანს[2].

for some reason – its property, all monetary capital, in coordination with the governor, was transferred to another Greek charitable institution (NAG CHA 26.4.1839).

The Borjomi Community, as already mentioned, was officially registered in 1916, although it seems that it existed before that on a social basis. Although archival documents, may be small in size, they give us important information: at the beginning of the 20th century there was a Greek school in Borjomi, in which the Greek community of Borjomi took a certain part. In 1902-1906, Proskinitopoulos was dismissed from the post of head of this school[1] and according to the documents, the next teacher of this school was Panagiotis Karasov (Karasavidis)[2].

1. 1906 წელს პროსკინიტოპულოსი (სამწუხაროდ, სახელი არ გაირჩევა) ბერძნული საზოგადოების ვლადიკავკაზის დაწყებით სამრევლო სასწავლებელში გადაიყვანეს. 1907 წელს მან მიმართა თბილისის გუბერნიის სახალხო განათლების დირექციას და ითხოვა საბუთები, მათ შორის ბორჯომის ბერძნულ სასწავლებელში ოთხწლიანი (1902-1906 წწ.) მუშაობის შესახებ (სეა სცა 427.2.62).
2. პანაიოტის კარასოვს თბილისის სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული და ითხოვდა სემინარიის მიერ გაცემულ საბუთს, დაბადების მოწმობასა და პოლიტიკური სანდოობის დოკუმენტს, ასევე, ითხოვდა ბორჯომის სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დამადასტურებელ საბუთსა და დადებით დახასიათებას, რომელიც გელენჯიკის ბერძნულ საეკლესიო-სამრევლო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად მუშაობის დასაწყებად სჭირდებოდა (სეა სცა 427.2.62).

1. In 1906, Proskinitopoulos (unfortunately, the name is illegible) was transferred to the primary parish school of the Greek community of Vladikavkaz. In 1907, he applied to the Office of Public Education in Tbilisi Governorate and requested documents, including a four-year (1902-1906) job at the Borjomi Greek School (NAG CHA 427.2.62).
2. Panagiotis Karasov graduated from the Tbilisi Theological Seminary and requested a document issued by the seminary, a birth certificate, and a document of political authority, as well as a document confirming his work as a teacher at a school in Borjomi and a positive characteristic that he needed to start working as a teacher of the Russian language at the Greek parish school in Gelendzhik (NAG CHA 427.2.62).

„ამიერკავკასიის ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოება“

ბევრად ფართო ასპარეზი ჰქონდა „ამიერკავკასიის ბერძნულ საქველმოქმედო საზოგადოებას“, რომლის საზრუნავს მთელ სამხრეთ კავკასიაში ბერძნების კეთილდღეობა წარმოადგენდა და რომლის მმართველობაც თბილისში იყო. საზოგადოება ჩამოყალიბდა და ოფიციალურად დამტკიცდა 1905 წლის 28 ნოემბერს. მისი დამფუძნებლები იყვნენ ნიკოლაოს პოლიტოვი, ვასილ სოტიროვი, პერიკლის კორხანიდისი, ანტიპ მერკუროვი, ივან ბასტიანოვი და ილიას ხრისტოფოროვი. ამოცანები კი იგივე, რაც ადგილობრივი მნიშვნელობის ბერძნულ საზოგადოებებს ჰქონდათ: ბერძნების კვებითა და სამოსით მომარაგება, თავშესაფრის შეთავაზება, დასაქმება და ა.შ. საზოგადოების წევრების მინიმალური გადასახადი იყო ყოველთვიურად 6 რუბლი, ან ერთჯერადად 60 რუბლი.

ამ საზოგადოების წესდებაში, ბევრ სხვა საინტერესო პუნქტთან ერთად, გამოირჩევა პუნქტი ე. წ. უბნის მზრუნველის შესახებ. უბნის მზრუნველს ერთი წლის ვადით ირჩევდნენ და მისი მთავარი ფუნქცია იყო კონკრეტულ უბანში მცხოვრებ გაჭირვებულ პირებზე ზრუნვა, მათი მატერიალური მდგომარეობის შესახებ მონაცემების მოგროვება და დახმარების გაწევა.

საზოგადოებას ჰყავდა ე. წ. სარევიზიო კომისია, რომელიც ყოველთვიურად აკონტროლებდა საზოგადოების წიგნების, თანხებისა და ქონების საკითხებს. სარევიზიო კომისიას მოულოდნელი რევიზიის ჩატარების უფლებაც ჰქონდა.

წესდების ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა შემდეგი მუხლი იყო: საზოგადოების წლიური ანგარიში ეგზავნებოდა ადგილობრივ გუბერნატორს და მისი მეშვეობით კავკასიის მეფისნაცვალს. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება ორი წლის განმავლობაში კავკასიის მეფისნაცვალს არ გაუგზავნიდა წლიურ ანგარიშს, შესაძლებელი იყო ამას საზოგადოების დახურვა გამოეწვია, რაც ნიშნავდა, რომ მის ფინანსურ საქმიანობას

“The Transcaucasian Greek Charitable Community”

“The Transcaucasian Greek Charitable Community”, whose concern was the well-being of the Greeks of the entire South Caucasus and whose administration was located in Tbilisi, had a much wider influence. The community was formed and officially approved on November 28, 1905. Its founders were Nikolaos Politov, Vasil Sotirov, Periklis Korkhanidis, Antip Merkurov, Ivan Bastianov and Ilias Khristoforov. The tasks were the same as those of Greek Community of local importance: supplying the Greeks with food and clothing, providing shelter, work, etc. Members were required to make a minimum payment of 6 rubles per month or a lump sum of 60 rubles.

In the charter of this Community, along with many other interesting points, there is a clause on the so-called “district governor” The district governor was elected for a term of one year, and his primary function was to care for people in need of living in a particular district, collect data on their financial situation, and provide assistance.

The Community had a so-called Audit Commission, which controlled the books, funds, and property of the community every month. The Audit Commission had the right to conduct an unscheduled audit.

One of the essential requirements of the charter was the following: the annual report of the community was sent to the local ruler and, through him, to the governor of the Caucasus. If the community did not send an annual report to the governor of the Caucasus for two years, the society could be closed, which meant that its financial activities were under the control of the imperial authorities.

What is known from the activities of this community? With the help of the Greek Charitable Society and the permission of the caretaker of the Caucasian Educational District, a one-class school was opened in Tbilisi in 1913, and in the same year, the leadership of the society invited the former teacher of El-Kechmaz parish school, Pavel Kazandzidis, a subordinated of Turkey. According to the law, a person

იმპერიის ხელისუფლების წარმომადგენლები ადევნებდნენ თვალს.

რა არის ცნობილი ამ საზოგადოების მუშაობის კონკრეტული შედეგებიდან? ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოების დახმარებით და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით, 1913 წელს თბილისში გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელშიც იმავე წელს საზოგადოების მმართველობამ ელ-კეჩმაზის საეკლესიო-სამრევლო სკოლის ყოფილი მასწავლებელი თურქეთის ქვეშევრდომი პავლე კაზანძიდისი მოიწვია. რუსეთის იმპერიაში არსებული კანონის მიხედვით, პირს, რომელიც სხვა ქვეყნის ქვეშევრდომი იყო, გუბერნატორის სპეციალური ნებართვის გარეშე მასწავლებლად მუშაობის უფლება არ ეძლეოდა.

კაზანძიდისს კი ყარსის მხარის სამხედრო გუბერნატორის მიერ 1913 წელს გაცემული პოლიტიკური სანდოობის მოწმობა ჰქონდა. ამასთან, ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოების მმართველობა მთლიანად თავის თავზე იღებდა პასუხისმგებლობას ამ პირთან დაკავშირებით (სეა სცა 427.1.145).

თბილისის გუბერნიის კერძო სასწავლო დაწესებულებების 1914 წლის ჩამონათვალში ეს ერთკლასიანი სასწავლებელი მოხსენიებულია სახელწოდებით „ბერძნული საქველმოქმედო საზოგადოების კერძო სასწავლებელი", რომელიც 1913 წელს გონჩარნაიას (მეთუნეთა) ქუჩის 44 ნომერში (დღევანდელი მოსე თოიძის ქუჩა) მდებარეობდა და მასწავლებლები იყვნენ ოლღა თეოხარი და კონსტანტინე აკრიტოპულოსი (სეა სცა 427.1.189).

ერთ-ერთ დოკუმენტში მითითებულია, რომ საზოგადოების მმართველობამ თხოვნით მიმართა თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორს ბერძნული ენის მასწავლებლად რუსეთის ქვეშევრდომ კონსტანტინე აკრიტოპულოსის (სეა სცა 427.1.145) დანიშვნის თაობაზე, რომლის წლიური ანაზღაურება, ბინის უზრუნველყოფით, 360 რუბლი იქნებოდა.



ცნობები ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესიის 1885 წლის უწყისიდან
(სეა სცა 489.1.40837)

Certificates of the Batumi St. Nicholas Greek Church for 1885
(NAG CHA 489.1.40837)

who was active in the Russian Empire or a person who was a subject of another country was not allowed to work as a teacher without the special permission of the governor.

Kazandzidis had a certificate of political trustworthiness issued by the military governor of Kars in 1913. However, the leadership of the Greek Charitable Community took full responsibility for this person (NAG CHA 427.1.145).

In the list of private educational institutions of the Tbilisi province of 1914, this one-class school is mentioned under the name "Private School of the Greek Charitable Community," which in 1913 was located on 44, Goncharnaia Street (Metuneta) (now Mose Toidze Street), and the teachers were Olga Teokhari and Konstantinos Akritopoulos (NAG CHA 427.1.189).

One of the documents states that the leadership of the society appealed to the director of public schools of the Tbilisi province with a request to appoint Konstantinos Akritopoulos, a Russian citizen (NAG CHA 427.1.145) whose annual salary with the provision of an apartment as a teacher of the Greek language was 360 rubles.

თბილისის ელინთა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება

თბილისის ელინთა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების წესდება 1916 წლის 24 თებერვალს დამტკიცდა. საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ აქილევს კუნდუროვი, პანაიოტის ცეიმაზიდისი, ივან ბასტიანოვი, თეოდოროს კუნდუროვი, პანტელეიმონ ბასტიანოვი, გიორგი კურტიდისი და გიორგი კიპრიზოვი; მიზანი და ფუნქციები სხვა საზოგადოებების იდენტური ჰქონდა. ამ შემთხვევაში საზოგადოების წევრი შესაძლოა ყოფილიყო მხოლოდ ბერძნული წარმომავლობის, მაგრამ ნებისმიერი სოციალური მდგომარეობის სრულწლოვანი პირი, რომელიც არ სწავლობდა, არ იხდიდა სამხედრო მოვალეობას, ან არ ჰქონდა აღკვეთილი თავისუფლება.

საზოგადოების წევრები იყოფოდნენ: საპატიო, მუდმივ და მოქმედ წევრებად. საპატიო წევრად მიიჩნეოდა პირი, რომელსაც საზოგადოების ანგარიშზე საწევროს სახით არანაკლებ 200 რუბლი, მუდმივ წევრად – 50, მოქმედ წევრად კი ყოველწლიურად 3 რუბლი შეჰქონდა. ახალ წევრს მმართველობა საზოგადოების ორი წევრის რეკომენდაციის საფუძველზე იღებდა (სეა სცა 26.4.1955).

Tbilisi Hellenic Cultural-Educational Community

The charter of the "Tbilisi Hellenic Cultural-Educational Community" was approved on February 24, 1916. The founders of the community were Akhilevs Kundurov, Panagiotis Tseimazidis, Ivan Bastianov, Teodoros Kundurov, Panteleimon Bastianov, George Kurtidis, and George Kiprizov; the purpose and functions were identical to those of other societies. In this case, a member of the community could only be an adult who is Greek by descent, has any social position, is not studying, is not performing military service, and is not deprived of freedom.

Members of the community were categorized into honorary, permanent, and valid members. An honorary member was a person who contributed at least 200 rubles to the company's account as a membership fee, while a permanent member contributed 50 rubles, and a valid member - 3 rubles. The appointment of a new member was entrusted with leadership based on the recommendation of two members of the society (NAG CHA 26.4.1955).

თბილისის მაზრის სოფელ ჯინისის (დღეს სოფ. არწივანი) ბერძნული მოსახლეობის მიერ გაცემული მოწმობა მათი საზოგადოებიდან გრიგოლ ქრისტიანიდისის გათავისუფლების შესახებ მის მიერ სასულიერო წოდების მიღების მიზნით
1850 წლის 1 აპრილი.
(სეა სცა 26.6.70)

Certificate issued by the Greek population of the village of Jinisi (today's village Artsivani) of Tbilisi province on the release of Grigol Kristianidis from their society to accept the priesthood
April 1, 1850.
(NAG CHA 26.6.70)



Свидетельство. Мартиріон.

Мы нижеподписавшіеся жители Тифлисскаго Уезда, Селенія Джиниси Казенные Крестьяне Греки даемъ сіе Свидетельство односельцу нашему Казенному Крестьянину Греку Григорію Христіанову въ томъ, что мы увольняемъ его изъ Среды Общества для поступленія его въ Духовное званіе, и принимаемъ на себя платить за него Казне все повинности, въ чемъ и подписываемся.

1850 года

1го Апреля

ბათუმის ბერძნული საზოგადოება

ბათუმის ბერძნული საზოგადოების შესახებ ბევრი საბუთი არ არის მოღწეული, თუმცა შემორჩენილი მასალის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ის ამ ტიპის ერთ-ერთი უადრესი საზოგადოებაა. მისი მუშაობის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოგვეპოვება.

ბათუმის ბერძნული საზოგადოების წევრებმა XIX საუკუნის 80-იან წლებში შექმნეს ბათუმის ბერძნული სასწავლებლის კომიტეტი, რომლის მიზანიც ადგილობრივ ბერძნულ მოსახლეობაში წიგნიერებისა და ელემენტარული განათლების დონის ამაღლება იყო. სასწავლებლის კომიტეტს არსებული სასწავლებლის პროფილის გაზრდა სურდა.

1886 წელს ბერძნული სასწავლებლის (რომელიც აქ 1868 წლიდან არსებობდა) სამეთვალყურეო კომიტეტის წევრებმა, ბათუმის ბერძნული მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეადგინეს სასწავლო გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინეს სასწავლო ხელმძღვანელობას. ამ გეგმის მიხედვით, სასწავლებლის კონტინგენტი უნდა განსაზღვრულიყო 150 მოსწავლითა და ხუთი მასწავლებლით; საღვთო სჯული სავალდებულო უნდა ყოფილიყო ყველა განყოფილებისთვის, ხოლო სახელმწიფო ენის, რუსულის შესწავლას თითოეული მოსწავლე სწავლების მეორე წლიდან შეძლებდა. სამეთვალყურეო კომიტეტის წევრები აღნიშნავდნენ, რომ სკოლას შეინახავდნენ

The Greek community of Batumi

While the available documents on the Greek community of Batumi are limited, surviving materials suggest that it is one of the earliest societies of this type. Information about its activities can be found from the second half of the 19th century.

In the 1880s, members of the Batumi Greek community created the Batumi Greek School Committee, whose purpose was to increase the level of literacy and primary education among the local Greek population. The school committee wanted to raise the profile of the existing school.

In 1886, members of the supervisory committee of the Greek school (which had existed here since 1868), taking into account the requirements of the Greek population of Batumi, compiled a curriculum and submitted it for approval to the educational manual.

Under this plan, the school's contingent was to be determined from 150 students and five teachers; the study of religion was to be mandatory for all departments, and every student from the second year had the option to study the state language Russian.

Members of the supervisory committee noted that the school would be maintained through membership fees, tuition fees, and donations from individuals; the letter was signed by Mavropulos, the acting chairman of

ПАСПОРТЪ.

Выданъ Изъ Ардаганскаго Округ-
ного Управленія.

1. Вѣроисповѣданіе: Православ.
2. Время рожденія или возрастъ: 40 л.
3. Родъ занятій: учитель греч. яз.
4. Состоитъ ли или состоялъ ли въ бракѣ:
женатъ
5. Находятся при немъ:

6. Отношеніе къ отбыванію воинской повинности:
За переходомъ призывного возраста

7. Подпись (владѣльца паспорта):
Константинъ Ник. Акритопуло

При неграмотности предъявителя обозначаются его примѣты:
Ростъ: средн.
Цвѣтъ волосъ: черные, усы и борода темные
Особыя примѣты: шатт.

Предъявитель сего прочитывающій въ с. И. Ларгвѣ,
Ардаганскаго округа, Карсской области Русско-
подданный Константинъ Николаевъ Акритопуло
уволенъ въ разные города и селенія Россійской Имперіи отъ нижеписаннаго числа
по пятнадцатое октября 1914 го года.
Данъ, съ приложеніемъ печати, тысяча девятьсотъ
тринадцатаго года октября пятнадцатаго дня.

№ 2.

За Начальника Ардаганскаго Округа, Коллежскій
Асессоръ Ф. Ф. Ф.
Дѣлопроизводитель Ф. Ф. Ф.

БЕЗПЛАТНО.

ОТСРОЧКА.

Выдана .....[1])

Дѣйствіе сего паспорта отсрочено на , т.-е. до года.

№ 1.

[2]) .....

[1]) На пунктирѣ обозначаются полныя установленія, выдавшаго паспортъ или отсрочку.
[2]) Пунктиръ означаетъ мѣсто для водныхъ лицъ, выдавшаго паспортъ или отсрочку.

ბერძნული ენის მასწავლებლის, კონსტანტინე აკრიტოპულოსის პასპორტი
1914 წელი
(სეა სცა 427.1.145)

Passport of Greek teacher Konstantin Akritopoulos
1914
(NAG CHA 427.1.145)

ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)
1880 წელი

Bishop Gabriel (Kikodze)
1880







გურიის ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) მოხსენება ადგილობრივი სამღვდელოების მიერ ბათუმის ბერძნული ტაძრის მშენებლობის დასრულებისთვის თანხის შეწირვის შესახებ
1871 წლის 8 მარტი.
(სეა სცა 489.1.27169)

Report of Bishop Gabriel (Kikodze) of Guria on the donation of money by the local clergy for the completion of the construction of the Batumi Greek Temple
March 8, 1871.
(NAG CHA 489.1.27169)



მღვდელი კონსტანტინე (ცანდეკოვი)
ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესიის წინამძღვარი და დეკანოზი.
ფოტო ინტერნეტიდან: https://shorturl.at/dGLN1

Priest Konstantin (Tsandekov)
An abbot and archpriest of the Batumi St. Nicholas Greek Church.
Photo from the Internet: https://shorturl.at/dGLN1



ბათუმის გეგმა
გეგმაზე დატანილია წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია და ბერძნული სახელოსნო სასწავლებელი.
(სეა სცა 1087.1.1626)

Plan of Batumi
There is a Batumi St. Nicholas Greek Church and the Greek School Workshop on the plan.
(NAG CHA 1087.1.1626)


ЧЕРНОЕ МОРЕ
Бухта
Нефтяная гавань
Каботажная гавань
ОБЪЯСНЕНІЕ.
Управленія
204 пех. Ардаг. Мих. полкъ
Михайловск. конн. артиллерія
Батумск. военн. госпиталь

საწევრო გადასახადებით, სწავლის ქირითა და შემოწირულობებით, რომლებიც კერძო პირთაგან შემოვიდოდა; წერილს ხელს კომიტეტის თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი მავროპულოსი, სასწავლებლის მზრუნველები და კომიტეტის წევრები აწერენ.

1887 წლის 30 იანვარს აღნიშნული სასწავლებლის გამგედ საულიდისი დაინიშნა, ამავე წლის 4 თებერვალს საგამოცდო განყოფილების დამკვირვებლად ვასილიკი კეფალა დაამტკიცეს (სეა სცა 422.1.2845).

დაახლოებით ათი წლის შემდეგაც ბათუმის სასწავლებელი ისევ აქტუალურია დოკუმენტებში. ცნობილია, რომ 1897 წლის 24 მარტიდან ბათუმის ბერძნულ სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებლად ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის[3] მღვდელმთავარი კონსტანტინე ცანდეკოვი[4] იყო.

the committee, along with school caretakers, and other committee members.

On January 30, 1887, Saulidis was appointed head of this school, on February 4 of the same year, Vasiliki Kefala was approved as an observer of the examination department (NAG CHA 422.1.2845).

Ten years later, the Batumi school is still relevant in the documents. It is known that since March 24, 1897, the teacher of theology at the Batumi Greek School was the priest of the Batumi St. Nicholas Church[3], Konstantin Tsandekov[4].

3. ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი 1865 წელს აიგო. 1894-1898 წლებში ეკლესიას ეზოკარი დაუმტკიცდა, რის შემდეგაც ტაძრის კუთვნილ ტერიტორიაზე ვაჟთა და ქალთა სკოლები გაიხსნა (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9527_2.pdf).
4. მღვდელმა კონსტანტინემ დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი და ერევნის სამასწავლებლო სემინარია. 1888 წლის 22 მაისს ის ჯერ დიაკვნად და იმავე წელს მღვდლად ეკურთხა. 1894 წლის 22 მარტს ვლადიკავკაზის ბერძენთა მოთხოვნით მამა კონსტანტინე (ცანდეკოვი) ვლადიკავკაზის წმინდა კონსტანტინესა და ელენეს სახელობის საქალაქო ეკლესიის მღვდლად დაინიშნა, ხოლო ამავე წლის 1 ოქტომბერს მან ვლადიკავკაზის ბერძნულ სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1896 წლის 5 ნოემბერს მამა კონსტანტინე ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესიის ზედამხედველად გაამწესეს. 1901 წელს ის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) ბათუმის ოლქის ბერძნული ეკლესიების ბლაღოჩინად დანიშნა, 1908 წლის სექტემბერში კი ბათუმის პირველი საქალაქო ბერძნული დაწყებით სასწავლებელსა და ასევე, კერძო კლასიკურ გიმნაზიაში - „არნოლდი" საღვთო სჯულის სწავლება დაიწყო. მამა კონსტანტინესა (ცანდეკოვი) და მის მეუღლეს, დარია სოლომონის ასულს ჰყავდათ 7 შვილი: ტრიფონი, ნინა, სოლომონი, დიმიტრი, პართენა, ელისაბედი და ბარბარე (სეა სცა 489.1.64275).

3. Batumi St. Nicholas Cathedral was built in 1865. In 1894-1898, the church was granted the area where the building is located, after which schools for boys and girls were opened on the territory belonging to the Cathedral (source: see https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9527_2.pdf).
4. Priest Konstantin graduated from the Tbilisi Theological College and the Yerevan Pedagogical Seminary. On May 22, 1888, in the same year, he was appointed deacon and priest. On March 22, 1894, at the request of the Vladikavkaz Greeks, Father Konstantin (Tsandekov) was appointed priest of the city church named after St. Konstantin and Elena of Vladikavkaz, and on October 1 of the same year, he began work as the teacher of theology at the Greek school of Vladikavkaz. On November 5, 1896, Father Konstantin was appointed prior of the Greek Church of St. Nicholas in Batumi. In 1901, Bishop Alexander (Okropiridze) of Guria-Samegrelo appointed him Blagochin of the Greek churches of Batumi District, and in September 1908 he began teaching Legal theology in the first Greek primary school of Batumi, as well as in a private classical school-gymnasium - "Arnold". Father Konstantin (Tsandekov) and his wife, Daria had 7 children: Tryphon, Nina, Solomon, Dmitry, Parphina, Elizabeth and Barbara (NAG CHA 489.1.64275).

В. П. И.

НАСТОЯТЕЛЬ
ГОРОДСКОЙ ГРЕЧЕСКОЙ
НИКОЛАЕВСКОЙ ЦЕРКВИ

ГУРІЙСКО-МИНГРЕЛЬСКОЙ
ЕПАРХІИ.

«6» Марта 1916г.

№ [redacted]

Гор. Батумъ

Свидѣтельство.

Сіе дано предъявителямъ, турецкоподданнымъ, проживающимъ в г. Батумѣ, супругамъ Ахмету Эмилъ-оглы (онъ-же Петръ Георгіевичъ 28л.) и женѣ его Софіи въ томъ, что они тайные христіане, православные, которые открыто отправляютъ свои религіозныя нужды в греческой церкви. Въ чемъ удостовѣряю подписью и приложеніемъ казенной печати.

Настоятель церкви, благч. свящ.
К. Цандеков.

მღვდელ კონსტანტინე ცანდეკოვის მიერ გაცემული მოწმობა ახმეტ ემილ-ოღლისა (იგივე პეტრე გეორგიევიჩი) და მისი მეუღლის, სოფიას მართლმადიდებლობის შესახებ
მოწმობა შესრულებულია ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვრის ბლანკზე და დამოწმებულია მღვდელ კონსტანტინეს ხელმოწერითა და სახაზინო ბეჭდით.
1916 წლის 6 მარტი, ბათუმი.
(სეა სცა 489.1.53450)

Certificate issued by priest Konstantin Tsandekov on the adoption of Orthodoxy by Akhmet Emil-Oglu (Petre Georgievich) and his wife Sofia
The certificate was drawn up on the form of the prior of St. Nicholas Church of Batumi and certified by the signature and state seal of Priest Konstantin.
March 6, 1916, Batumi.
(NAG CHA 489.1.53450)



სოხუმის ოლქის სოფელ აზანთას მოსახლეობის მოთხოვნა სოფლის ბერძნულ ტაძარში მღვდლად გიორგი მავრიდისის დატოვების შესახებ
1912 წლის 30 აპრილი.
(სეა სცა 13.1.534)

Request of the population of the village of Azanta, Sokhumi district, to leave the priest George Mavridis in the Greek Church of the village
April 30, 1912.
(NAG CHA 13.1.534)





წალკის ბერძნული საზოგადოება

წალკის მოსახლეობამ ადგილობრივი მოსწავლეების დახმარების მიზნით 1905 წელს თბილისის გუბერნატორს წალკის ბერძნული საზოგადოების წესდების დამტკიცების თხოვნით მიმართა (სეა სცა 26.3.3555). საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ მასწავლებლები: პანაიოტის აკრიტოვი (აკრიტასი) და პანაიოტის იოანიდისი.

პანაიოტის იოანიდისის შესახებ ცნობილია, რომ 1881 წლის 1 იანვარს დაიბადა და 8 იანვარს ბეშთაშენის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში მოინათლა. ის იყო სამხრეთ კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსდამთავრებული; 1901 წელს, თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორის განკარგულებით დაინიშნა ბეშთაშენის სასწავლებლის ზედამხედველად, ხოლო მოგვიანებით, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანების საფუძველზე, წალკის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი გახდა.

სხვადასხვა დროს იყო ორკლასიანი სამრევლო სასწავლებლის, სიღნაღის საქალაქო სასწავლებლისა და ახალციხის საქალაქო სამრევლო სასწავლებლის ზედამხედველი. მისი ანაზღაურება 450 რუბლს შეადგენდა. ჰყავდა მეუღლე - სოფიო პოპოვა და შვილები - ელენე, ალექსანდრე და ლუდმილა (სეა სცა 428.5.33).

რაც შეეხება წალკის ბერძნული საზოგადოების მეორე დამფუძნებელს პანაიოტის აკრიტასს, ის 1880 წლის 2 მაისს დაიბადა. აკრიტასი ვარშავის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, მასწავლებლად მუშაობის თექვსმეტწლიანი გამოცდილებით. 1900 წლიდან ის სახალხო განათლების სამინისტროს თანამშრომელი იყო. პანაიოტის აკრიტასი გამოირჩეოდა როგორც ენერგიული და შრომისმოყვარე ადამიანი და სახალხო ინტერესების დამცველი. წალკის მოსახლეობის კომიტეტის თავმჯდომარე აკრიტასი, ბეშთაშენში უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის დაარსების მთავარი ინიციატორი იყო. აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნული სასწავლებლის გამგის თანამდებობაზე ღირსეულ და შესაფერის კანდიდატად პანაიოტის აკრიტასს მიიჩნევდა. ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ელინთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ნიკოლაოს სპილიოტისს აღძრული ჰქონდა შუამდგომლობა კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს კომისარიატის თავმჯდომარესთან. რის შემდეგაც 1917 წლის 15 სექტემბერს არდაღანის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი პანაიოტის აკრიტასი თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის

СВИДѢТЕЛЬСТВО.

ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის პედაგოგთა საბჭოს მიერ პანაიოტის იოანიდისისადმი გაცემული მოწმობა მისთვის მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ
1901 წლის 8 ივნისი.
(სეა სცა 428.5.33)

Certificate issued to Panagiotis Ioannidis by the Council of Teachers of the Transcaucasian Educational Seminary on awarding him the rank of teacher
June 8, 1901.
(NAG CHA 428.5.33)

The Greek community of Tsalka

In 1905, the population of Tsalka turned to the Tbilisi governor with a request to approve the charter of the Greek community of Tsalka to help local students (NAG CHA 26.3.3555). The founders of the community were teachers: Panagiotis Akritov (Akritas) and Panagiotis Ioannidis.

It is known about Panagiotis Ioannidis that he was born on January 1, 1881, and was baptized on January 8 in the Beshtashen Church of St. Nicholas. He was a graduate of the South Caucasus Pedagogical Seminary. In 1901, by decree of the director of public schools in the Tbilisi province, he was appointed caretaker of the Beshtashen school, and later, by order of the trustee of the Caucasian school district, he became the head of the normal school of Tsalka.

At various times, he held the position of principal at two-year parish schools, including the Sighnaghi Town Parish School and Akhaltsikhe Town Parish School. His salary was 450 rubles. He had a wife - Sophia Popova and children - Elena, Alexander, and Lyudmila (NAG CHA 428.5.33).

As for Panagiotis Akritas, the second founder of the Greek community of Tsalka, he was born on May 2, 1880. Akritas was a student at the Warsaw Polytechnic Institute with sixteen years of teaching experience. Since 1900, he has been an employee of the Ministry of Education. Panagiotis Akritas stood out as an energetic and hardworking person and a public interest defender. Akritas, chairman of the Committee of the population of Tsalka, was the main initiator of the establishment of a higher elementary school in Bestashen. The Executive Committee considered Panagiotis Akritas a worthy and suitable candidate for the position of principal of that school. Concerning that, the chairman of the Executive Committee of The Hellenic population of Transcaucasia Nikolaos Spiliotis filed a petition with the chairman of the Department of Public Education of the Caucasian District of the People's Commissariat. After that, on September 15, 1917, Panagiotis Akritas, a teacher at the Ardagan Higher Elementary School, was appointed director of the Beshtashen Higher Elementary School of Borchalos Mazri, Tbilisi Province (NAG CHA 1933.1.525).

On August 22, 1917, a higher elementary school for Greeks was opened in Bestashen at the expense of the local Greek community.

ამიერკავკასიის ელინთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლაოს სპილიოტისის წერილი კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველობის კომისარიატის თავმჯდომარეს;
ითხოვს ბეშთაშენის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის გამგედ დაინიშნოს პანაიოტის აკრიტასი
1917 წლის 21 სექტემბერი.
(სეა სცა 1933.1.525)

A letter from the Chairman of the Transcaucasian Greek Executive Committee Nikolaos Spiliotis to the Chairman of the Commissariat of Management of the Caucasian School District,
where he asks to appoint Panagiotis Akritas as the director of the Beshtashen Higher Elementary School
September 21, 1917.
(NAG CHA 1933.1.525)

ბეშთაშენის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის გამგედ დაინიშნა (სეა სცა 1933.1.525).

ბეშთაშენშივე 1917 წლის 22 აგვისტოს გაიხსნა ბერძენთა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი ბერძენთა ადგილობრივი საზოგადოების ხარჯზე. 1918 წელს სასწავლებლის კომიტეტმა თხოვნით მიმართა კავკასიის სასწავლო ოლქის მართვის კომისარიატს სკოლის სახაზინო ხარჯზე შენახვის შესახებ და წელიწადში 11345 რუბლის გამოყოფა მოითხოვა, რაზეც სკოლის კომიტეტმა უარი მიიღო. ამის შემდეგ ბეშთაშენის სასწავლებელს შუამდგომლობა სახალხო სკოლების ინსპექტორმა ვ. მიხაილოვმა გაუწია.

თავის მიმართვაში ვ. მიხაილოვი აღნიშნავს, რომ სასწავლებლის სპეციალური სახსრები იწურება, ორმოცათასიანი ბერძნული მოსახლეობისთვის ეს სკოლა მნიშვნელოვანი და აუცილებელია. სკოლების გაეროვნების შემოღებისას ბეშთაშენის ბერძენ ბავშვებს განათლების მიცემის შესაძლებლობა წაერთმევათ. თუმცა ამ თხოვნაზე დაბალ სასწავლებელთა მთავარი გამგისგან სახალხო სკოლების ინსპექტორმა ვ. მიხაილოვმაც უარი მიიღო. რა ბედი ეწია სკოლას, ჩვენთვის უცნობია (სეა სცა 1935.1.375).

საქართველოში არსებულმა ბერძნულმა საზოგადოებებმა და მათ მიერ გახსნილმა სასწავლებლებმა უდიდესი და მნიშვნელოვანი როლი შეიტანა ადგილობრივი ბერძნების ცხოვრებაში. კომპაქტურად დასახლებულმა ბერძნებმა სასწრაფოდ აიღეს გეზი საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისკენ და ამ საქმეში საუკეთესო მხარდამჭერი მათივე საკუთარი საზოგადოებები იყო. ამას გარდა, ეს საზოგადოებები ლტოლვილი ბერძნებისთვის ერთგვარი ორიენტირი იყო.

In 1918, the school committee appealed to the commissariat of management of the Caucasian school district with a request to maintain the school at the expense of the treasury and asked for the allocation of 11 345 rubles a year, but was refused by the school committee. After that, the inspector of public schools, Beshtashen V. Mikhailov acted as an intermediary in this matter.

In his appeal, V. Mikhailov notes that special funds for the school are running out, and this school is important and necessary for the forty-thousand Greek population. With the introduction of the nationalization of schools, the Greek children of Beshtasheni would be deprived of the opportunity to receive education. However, the inspector of public schools V. Mikhailov was also refused. How the settlement of this issue ended is unknown (NAG CHA 1935.1.375).

Greek communities in Georgia and the schools they established played a large and important role in the lives of local Greeks. The locally settled Greeks quickly set about preserving their identity, and the best support in that matter was their communities. In addition, these communities were a kind of reference point for refugees and disadvantaged Greeks.



სოხუმის სახალხო სასწავლებლების ინსპექციის მონაცემები ბერძნული სასწავლებლების მასწავლებელთა შესახებ
1914 წელი
(სეა სცა 422.1.12974)

Sokhumi public schools' inspection data on Greek school teachers
1914
(NAG CHA 422.1.12974)

სასტუმრო „ორიენტალი“ სოხუმში
პირველი კლასის სასტუმრო „ორიენტალი“ 1908 წელს სოხუმელი ბერძნების, ს. ჩარაიდისისა და ა. მარიეტისის დაკვეთით აშენდა მიხაილოვის სანაპიროსა და კოლუბიაკინსკის ქუჩის კუთხეში. არქიტექტორი ალფრედ ბამე იყო. შენობის მეორე სართულზე კომფორტული ოთახები მოეწყო, პირველ სართულზე კი - კომერციული ფართები. ამავე შენობაში მდებარეობდა ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო რესტორანი და მაღაზიები; განსაკუთრებულ ყურადღებას სოხუმელი ფოტოგრაფის - იოანის ევკარპიდისის ფოტოსტუდია იპყრობდა.

Hotel “Oriental” in Sokhumi
The first-class Hotel “Oriental” was built in 1908 by the order of representatives of prominent Greek families living in Sokhumi - S. Charaidis and A. Marietis on the corner of Mikhailovskaia embankment and Kolubiakinski Street. The architect was Alfred Bamme. The second floor of the building housed comfortable rooms, and the first floor was reserved for commercial premises. Here was located one of the best restaurants in the city, and different kinds of shops, but the photo studio of the Sokhumi photographer Ioannis Efkarpidis attracted special attention.

უცნობი მამაკაცი
ფოტო გადაღებულია სოხუმში, იოანის ევკარპიდისის ფოტოსალონში.
XIX-XX საუკუნეების მიჯნა.

Unknown man
The photo was taken in the photo studio of Ioannis Efkarpidis in Sokhumi.
At the turn of the 19th-20th centuries.



მიხეილ ვასილიევი (თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს ბარათი) ფოტო გადაღებულია სოხუმში, ლეონიდ პიმენიდისის ფოტოსალონში XX საუკუნის დასაწყისი.

შენიშვნა: *XIX საუკუნეში სოხუმის საუკეთესო ფოტოატელიეს მფლობელად ლეონიდ პიმენიდისი ითვლებოდა. მისი სახელოსნო 1896 წელს მიხაილოვის სანაპიროზე გაიხსნა.*

Mikhail Vasiliev (Card of the gendarmerie of the Tbilisi province) photo was taken in Sokhumi, in the photostudio of Leonid Pimenidis The beginning of the 20th century.

Note: *Leonid Pimenidis was considered the owner of the best photostudio in Sokhumi in the 19th century. His workshop was opened in 1896 on Mikhailov Beach.*



ლეონიდ პიმენიდისის ადგილ-მამულის გეგმა მარიინსკის ქუჩაზე
1913 წელი, სოხუმი.
(სეა ქცა 217.1.7692)

Plan of the estate of Leonid Pimenidis on Mariinskaia street
1913, Sokhumi.
(NAG KCA 217.1.7692)

სხვადასხვა მიზეზით დაკავებული ბერძენი პირების ჟანდარმერიის ბარათები

GENDARMERIE CARDS OF GREEKS ARRESTED FOR VARIOUS REASONS

ქრისტეფორე ტოპუზოვი
Christopher Topuzov

პანტელეიმონ ლეონტიდისი იგივე ასლან-ოღლი
Panteleimon Leontidis (Aslan-Oglu)

პლატონ ელევთეროვი
Platon Elefterov

მიხეილ ვერღილისი
Mikhail Verghilis

дѣла

Родъ преступности. Соціалистъ-революціонеръ

Ложное имя:

Прозвище. Кличка:

Имя и отч., если инов.-то всѣ имена, а еврей—какимъ называется христ. имен

Подробн. званіе Гражданинъ гор. Аѳины Гре

Мѣсто рожденія въ гор. (дер.) родился въ м. Боржомъ.

Отецъ? умеръ Мать (и ея дѣвичья фамилія)? Сар

Женат. (замужем.) Холостъ (дѣвица) вдов. разведен.? холостой

Имя и отч. жены (мужа) и ея дѣвичья фамилія?

Братья, сестры и проч. извѣстные родственники? Брат. Фимиѳ.

Вѣроисповѣд. православное Воен.

Гдѣ получил. образованіе? въ Боржомскомъ ремесле

Знаетъ-ли мастерство (профессію) и послѣднее мѣсто службы? слесар

Послѣднее мѣстожительство? м. Боржомъ

Когда, гдѣ и по как. дѣлу задержанъ или привлеченъ? привлек. 18 ию

По как. дѣлу ранѣе привлекался? не привлекался

Не подвергался-ли ранѣе фотографированію, антропометр. или дактилоскопіи? не

8) Плечи: Ширин. Накл. Шея

9) Руки: Величин. Привычк держать

10) Ступни ногъ: Длин. (№ обуви) Особ. формы ног.

11) Осанка (выправка корпуса. Манера держаться)? держится

12) Походка:

13) Особ. въ жестикуляціи, гримасы, мимика и т. п.

14) Природный языкъ? греческій Иностр. акцент.?

Голосъ. Шепелявость, ка

15) Особен. одежды?

Ростъ 1 м. ... с. ...	Голова.	Длин. ...	Пр. ухо.	Длин. ...
Дл. р. рукъ 1 м. ... с. ...		Шир. ...		Шир. ...
Рост. сид. ...				

Особыя примѣты: т. е. зажившіе рубцы, раны, пятна, опухоли, наросп

1) Лѣв. рука
2) Прав. рука
3) Лицо и шея
4)
5)
6)

Описаніе составлено въ гор. Тифлисѣ

Подпись

ხარლამპოს მიხაილიდისი
Kharlampos Mikhailidis

ESILAUS TH. AVGHERINO.

STEAMSHIP BROKER AND
NERAL COMMISSION AGENT.

TELEGRAPHIC ADDRESS:
"AGESILAUS, POTI."

CODES USED { SCOTTS, A.B.C. AND A.1.

TELEPHONE No. 58.

L. Th. Mavrayéorgos

Arvanitidi Fils

Constantinople

ბერძენი მეწარმეები საქართველოში

GREEK ENTREPRENEURS IN GEORGIA

იდენტობისთვის ბრძოლა მარტო განათლებასა და საქველმოქმედო საქმიანობაში არ ვლინდებოდა. ბერძნები შეეცადნენ ეკონომიკურადაც დამდგარიყვნენ ფეხზე. ცნობილია, რომ საქართველოში, კერძოდ, ჭიათურაში მანგანუმის წარმოება XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. XIX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულსა და 1900-იანი წლების დასაწყისში მანგანუმის ხვედრითმა წილმა მსოფლიო ექსპორტში 50% მიაღწია. ჭიათურის მანგანუმის 54 ათასი ფუთი, რომელიც პირველად გაიტანეს მსოფლიო ბაზარზე, გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით და დიდი ინტერესი გამოიწვია ისეთ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა ინგლისი, აშშ, ბელგია, გერმანია და საფრანგეთი[5].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური რესურსებით ფართოდ ინტერესდებოდნენ ცნობილი ევროპული კომპანიები და მეწარმეები. დიდ ინტერესს იჩენდნენ ჭიათურის მანგანუმისადმი ბერძენი მეწარმეებიც. საქართველოში იყო რამდენიმე ათეული ბერძენი მეწარმე და ფირმა, რომლებიც ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებითა და ექსპორტზე გატანით იყო დაკავებული. ამ ეტაპისთვის, კვლევის შედეგად, საარქივო მასალებში შემდეგი ფირმებისა და ამხანაგობების დასახელებები გამოიკვეთა:

- არისტიდის და ნიკოლაოს ავღერინოსები (Αριστείδης και Νικόλαος Αυγερινός).
- ძმები არვანიტიდისები (Αρβανιτίδης).
- ქრისტეფორე მანოლოპულოსი (Χριστόφορος Μανωλόπουλος).
- ასვესტოპულოსი და ზაროკილისი (Ασβεστόπουλος & Ζαροκίλλης).
- ძმები მანუილის, გიორგი, ათანასი მანუილიდისები (Μανουήλης, Γιώργος, Αθανάσιος Μανουηλίδης).
- პანაიოტის სალონიკიდისი (Παναγιώτης Σαλονικίδης).



ჭიათურის მანგანუმის გზის ავღერინოს-ვაკალოპულოს ნაწილის გეგმა
1910 წელი
(სეა სცა 293.1.50)

The struggle for identity was manifested not only in education and other charitable activities. The Greeks tried to strengthen their economies. It is known that in Georgia, in particular in Chiatura, manganese production began in the 1880s. By the late 1890s and early 1900s, the share of manganese in world exports reached 50%. 54,000 feet of Chiatura manganese, which first entered the world market, was of high quality and attracted great interest in such industrialized countries as England, the USA, Belgium, Germany, and France[5].

In the second half of the 19th century, well-known European companies and entrepreneurs were widely interested in the economic resources of the South

5. https://forbes.ge/tchiathuris-manganumi-qarth/



Plan of the Avgherinos - Vakalopoulos section of the Chiatura-Manganese road
1910
(NAG CHA 293.1.50)

- ნიკოს ვაკალოპულოსი (Νίκος Βακαλόπουλος).
- კარპოზილოსი & ფილიდისი (Καρπόζηλος & Φιλίδης).
- ჰომეროს ავღერინოსისი (Όμηρος Αυγερινός).
- ევტიხია ავღერინო (Ευτυχία Αυγερινός).
- ივან პერსინაკისი (Ιβάν Περσινάκης) და სხვა.
შენიშვნა: ივან პერსინაკისი ცნობილი გერმანული ფირმის „გელზენკიხერის მანგანუმის ამხანაგობის“ წარმომადგენელი იყო საქართველოში.

Caucasus, and Greek entrepreneurs showed great interest in Chiatura manganese. In Georgia, there were several dozen Greek entrepreneurs and firms engaged in the extraction and export of manganese in Chiatura. At this stage, as a result of the study, the names of the following companies were identified in the archival materials:

- "Aristides and Nikolaos Avgherinos" (Αριστείδης και Νικολάος Αυγερινός).
- "Brothers Arvanitidis" (Αρβανιτίδης).
- "Christopher Manolopoulos" (Χριστόφορος Μανωλόπουλος).
- "Asvestopoulos and Zarokilis" (Ασβεστόπουλος & Ζαροκίλλης).
- "Brothers Manuilis, George, Atanasios Manuilidis" (Μανουήλης, Αθανάσιος Μανουηλίδης).
- Panagiotis Salonikidis (Παναγιώτης Σαλονικίδης).
- Nikos Vakalopoulos (Νίκος Βακαλόπουλος).
- Carposilos & Phyllides (Καρπόζηλος & Φιλίδης).
- Homeros Avgherinos (Όμηρος Αυγερινός).
- "Eutychia Avgherinou" (Ευτυχία Αυγερινού).
- Ivan Persinakis (Ιβαν Περσινάκης) and others.

Note: Ivan Persinakis was a representative of the famous German company "Gelzenkirhen Manganese Company" in Georgia.

ყველაზე ადრეული საარქივო დოკუმენტი, რომელიც ჭიათურაში ბერძენ მეწარმეებს ეხება, ავღერინოსების გვარს, კერძოდ, არისტიდისსა და ნიკოლაოს თემისტოკლეს ძე ავღერინოსებს უკავშირდება (სეა უიცა 292.1.186). ავღერინოსების კომპანიას სათაო ოფისი ბელგიაში, კერძოდ, ანტვერპენში ჰქონდა, საქართველოში 1885 წლიდან მუშაობდა და წელიწადში დაახლოებით 3-4 მილიონამდე ფუთი მანგანუმი გაჰქონდა საზღვარგარეთ. ფირმას საწყობები ჭიათურასა და ფოთში ჰქონდა[6].

საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ავღერინოსების „დინასტიაში" ყველაზე ცნობილი აღმოჩნდა ჰომეროს ავღერინოსი - ფოთის პირველი გილდიის ვაჭარი. ირკვევა, რომ მანგანუმის მადნის საწარმოს ბერძენ მფლობელს ფოთში ჰქონდა რამდენიმე საკუთარი სახლი, რომლებიც არქიტექტურით, სილამაზითა და სიდიდით გამოირჩეოდა[7]. ამ შენობების ავტორი ცნობილი გერმანელი არქიტექტორი ედმუნდ ფრიკი იყო.

The earliest archival document concerning Greek entrepreneurs in Chiatura refers to the Avgherinos family, namely Aristides and Nikolaos Avgherinos, sons of Themistocles (NAG CACH 292.1.186). The company "Avgherinos" had its head office in Belgium, namely in Antwerp, in Georgia it operated since 1885 and exported about 3-4 million feet of manganese per year. The company had warehouses in Chiatura and Poti[6].

According to archival documents, one of the most notable figures among the Avgherinos "family" was Homeros Avgherinos, a merchant of the first guild of Poti. It turns out that the Greek owner of the manganese ore enterprise had several houses of his own in Poti, distinguished by architecture, beauty, and size[7]. The author of these buildings was the famous German architect Edmund Frick.

6. არისტიდის ავღერინოსის სახელი ჩანს 1896 წლის (N315) და 1903 წლის (N97) გაზეთ Кавказ-ში. იქ მითითებულია ინფორმაცია ფოთში ავღერინოსის სახლისა და ასევე მისივე კუთვნილი მანგანუმის გაყიდვის შესახებ. 1897 წლის „ცნობის ფურცელი" (N392) კი იუწყება ცნობილი სოვდაგრის - თემისტოკლე ავღერინოსის გარდაცვალების შესახებ (მეწარმე ავღერინოსების მამა).

